# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 5 თებერვალი 2007 №24 (2947) ფასი 50 თეთრი


# აი, ქართველობა, აი, ნამდვილობა!



რანაირი ზამთარია, რალაცნაირი უგემური თუ რა ჰქვია, არ ვიცი. გაიწელა ქარები და უბედურება და მთელს ამ ამბავში ერთი ენერგია გამოჩნდა: საქართველომ რუმინეთში მოიგო. ძალიან მაგარი შაბათი იყო. გენაცვალეთ მაგ დამტვრეულ თავ-პირში და დალეწილ ძვლებში.

მე პირადად, პირველად ვნახე პირდაპირ მინდორზე შესული სასწრაფო დახმარების მანქანა. რაც კრივი მიცქერია და, ასეთი ჰემატომა იქ არ მინახავს, ირაკლი მაჩხანელს რომ დააჯდა. საერთოდაც, ასეთი რამ იშვიათად, რომ ამდენ კაცისკვლასა და ჯანდაბაში თამაში თამაშად დარჩენილიყოს. მგონი, ფასიც მაგას აქვს, რომ ამნაირ ომში გამარჯვებული გამოხვალ. ან რა ხერხემლები, ან რა ტვინის შერყევები, ან რა უბედურება. ნამდვილ ომში წახვალ, ჩაწვები, ხეს მოეფარები, ამოისუნთქავ, შემოუვლი, თავს დაუვლი თუ როგორც არის. აქ სად წახვალ? არ არის წასასვლელი. ბოლოსკენ დიდი სხვაობა ნამდვილად აღარ იყო, ტყვია არ გავარდნილა, თორემ ასეთი ომიანი თამაში... თანდათან ისე გამოვიდა, რომ სიკვდილ-სიცოცხლის თამაში იყო. რაგბის ბევრ ფასთა შორის ერთ-ერთი მთავარი ესეც არის, რომ ყველაფერი ძალიან ღიად ხდება ხოლმე. საქართველომ რაგბი მოიგო და რაგბის ნაკრები დღეს ნამდვილად არის ქვეყნის საოცარი ენერგია. სხვა საქმეა, რომ ქვეყანამ ეს ხეირიანად არ იცის. მაგრამ რაგბი ასეთია: ყოველთვის ნამდვილი.

გიო ახვლედიანი

# ამხედლა თურქეთი ორი პურის ფასად

დღეს საქართველოს ნაკრები თავის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბება და ოთხშაბათს თურქეთის სამასპინძლოდ მზადებას დაიწყებს. საამმატჩოდ კლაუს ტოპმიოლერის გამოძახებული შემადგენლობა უძლიერესისგან შორსაა და ეს არც გვიკვირს, მწვრთნელად დანიშვნის დღიდან ხომ ამ კაცს საუკეთესო შეგირდებით თამაშის საშუალება არ ჰქონია. ამჯერად ეროვნულ გუნდს ტრავმირებულები, ლევან კობიაშვილი და მალხაზ ასათიანი, მიზეზთა და მიზეზთა გამო კი შოთა არველაძე, ალექსანდრე იაშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი დააკლდებიან.

-თურქებთან ჩვენებს ამხანაგურად ერთხელ უკვე უთამაშიათ, მაშინ ტრაპიზონში საქართველო 0:3 დამარცხდა. შემდეგ საქართველო — თურქეთის ოფიციალური შეხვედრებიც იყო, იმავ ტრაპიზონიდან საქართველომ ქულა წამოიღო, ხოლო თბილისში მეზობლებმა დიდი ანგარიშით იმარჯვეს — 5:2. ახლა ჩავთვალოთ, რომ თურქები ვალს აბრუნებენ და ისევ ამხანაგური მატჩია.

საქართველო — თურქეთი ოთხშაბათს 21 საათზე ეროვნულ სტადიონზე დაიწყება, ხოლო იქამდე, 13 საათზე „მიხეილ მესხზე“ ახალგაზრდული გუნდები ითამაშებენ.

ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრაზე დასწრება უფასო იქნება, ეროვნულების თამაშზე კი ბილეთის ფასი 1 ლარია. ბილეთების გაყიდვა „ეროვნულის“ და „მიხეილ მესხის“ სტადიონების სალაროებში დღეიდან დაიწყება. „მიხეილ მესხის“ ერთი სალარო საგანგებოდ თურქი ქომაგებისთვის იმუშავებს.

ჭოგა ინასარიძე



საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT



# ფეხბურთი ყველასია

## ტოპმიოლერი, ახალკაცი და ფეხბურთელები ავჭალის კოლონიაში

**დღეს**, ოთხ საათზე კლაუს ტოპმიოლერი, ნოდარ ახალკაცი და საქართველოს ნაკრების ორი ფეხბურთელი საზოგადოებრივ აქციას გამართავენ — ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიას ესტუმრებიან და პატიმრებს მოინახულებენ.

არეული ცხოვრება სხვაა, ფეხბურთის სიყვარული კი სხვა — პატიმრებს შორისაც იქნებიან ისეთები, დიდ ფეხბურთელობაზე რომ უოცნებიათ... ცხადია, ტოპის, ახალკაცის და ფეხბურთელთა ვიზიტი მათ გულებს გაუხარებს.

**ილია ნანობაშვილი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
**ჩვენი მეტოქე**

# ჯერ ფეხბურთი, მერე ეგოიზმი

**სერია A-ს** ბოლო ტურში „კატანია" — „პალერმო" ტრაგიკულად დასრულდა — ექსცესების ქარბორბალას გულშემატკივრის მიერ თვითნაკეთი ბომბის სროლაც მოჰყვა, რამაც პოლიციელის სიცოცხლე შეიწირა. ოთხშაბათს კი იტალიის ნაკრებს ამხანაგური მატჩი უნდა ეთამაშა შინ რუმინეთთან, მაგრამ კატანიაში მომხდარი ინციდენტის გამო იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ სანაკრებო მატჩის გადადება გადაწყვიტა.

„სკუადრა ადურას" თავკაცი რობერტო დონადონი გაგებით მოეკიდა მისთვის არცთუ სასიამოვნო განაჩენს: „რჩევის მიცემა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ რაც იმ საღამოს მოხდა კატანიაში, ამის შემდეგ სწორი არჩევანი გაკეთდა — გონიერი გადაწყვეტილება მიიღეს".

რუმინეთთან შეხვედრა იტალიისთვის გენერალური რეპეტიცია იყო 28 მარტს ევროშესარჩევში შოტლანდიასთან მატჩისთვის.

„თუ ეგოისტურად მივუდგებით საკითხს, უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვის ეს ამხანაგური მატჩი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ზოგადად ფეხბურთისთვის ეს სწორი და გარდაუვალი გადაწყვეტილებაა" — უთქვამს დონადონის.

# სადებიუტო მონაგარი

## გაცუდებული თავური და პენალტი

**გუშინ** იენის „კარლ ცაისში" დებიუტი ჰქონდათ გიორგი ლომაიას და მიხეილ აშვეთიას. იენელები ამ შეხვედრაში უშანსოებად ითვლებოდნენ, თუმც მეტოქეს შეხვედრის ბოლომდე უძალიანდებოდნენ და მხოლოდ 84-ე წუთზე გაშვებული პენალტით დამარცხდნენ. შეხვედრის შემდეგ *მიხეილ აშვეთიას* შევეხმიანეთ და სადებიუტო თამაშზე ვესაუბრეთ...

— ძალიან კარგი თამაში გამოვიდა. მთელი გუნდი მშვენივრად გამოიყურებოდა და რომ არა პენალტი, ამ მატჩს არ წავაგებდით. პენალტიც კურიოზული გამოდგა — ლომაია გამოსვლაზე ბურთს იჭერდა, მაგრამ ჩვენივე მცველი დაეჯახა და ხელიდან გააგდებინა, მერე დაფარება ველარ მოასწრო და მეტოქე წააქცია. ერთი კარგი მომენტი მეც მქონდა, თავით დავარტყი, მაგრამ მეკარემ ამიღო. მერე ცოტა დავიღალე და შეცვლა მოვითხოვე. გრძელი პაუზა მქონდა და იდეალურ ფორმაში ნამდვილად არ ვარ. რუსეთისას ვერ შეედრება, მაგრამ მეორე ბუნდესლიგაში ასეთი მაღალი დონე თუ იქნებოდა, არ მეგონა — გვითხრა აშვეთიამ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტოპმიოლერი შაშიაშვილს გერმანიას შეჰპირდა

საქართველოს ნაკრები დღეს, შუადღიდან შეუდგება სათურქეთო მზადებას, ზოგიერთი ლეგიონერი გუშინ დილითვე თბილისში იყო, მათ შორის ოდესის „ჩერნომორეცის" მცველი გიორგი შაშიაშვილიც. „ჩერნომორეცი" კი ვთქვით, მაგრამ ერთ კვირაში „შაში" ეგებ ამ გუნდის ფეხბურთელი აღარ იყოს — ოდესელთა თავკაცმა სემიონ ალტმანმა თქვა, თურქულ შეკრებაზე მცველებით უკმაყოფილო დავრჩი, ზოგიერთ უკანახაზელს აღარც ვათამაშებო და „შავ სიაში" გიორგიც მოახვედრა. დაახლოებით ასეთ ინფორმაციას „ჩერნომორეცის" ვებგვერდშიც წავაწყდით, თუმც საქმე გაცილებით რთულად ყოფილა — ამ ყველაფერზე თვითონ შაშიაშვილი მოგვიყვება...



— თურქეთთან თამაშის შემდეგ ოდესაში ჩავალ და „ჩერნომორეცის" პრეზიდენტს დაველაპარაკები. ისე ვატყობ, რომელიმე გუნდში განათხოვრებით მომიწევს წასვლა.

— **როგორც ვიცით, ალტმანი კახა მჟავანაძითაც უკმაყოფილოა. მაინც რა მიზეზები აქვს?**

— გგონიათ, თვითონ ამბობს კონკრეტულ მიზეზს? ჟურნალისტები შეეკითხნენ და მიზეზს ვერ ასახელებს. ასე თქვა, დაცვის ხაზით ვარ უკმაყოფილოო. სამ ფეხბურთელს გვითხრა, მეორე წრეში თამაში არ მოგიწევთო, მათ შორის მჟავანაძესაც. თურქეთში გვქონდა შეკრება, ნორმალურად ჩავატარეთ სპარინგები, თამაშების უმეტესობა მოვიგეთ და რა ვიცი...

— **ისე, ალტმანი მაინცდამაინც არც აქამდე გიყურებდა კარგი თვალით. როდესაც იგი ავადმყოფობდა და „ჩერნომორეცს" სხვა მწვრთნელი თავკაცობდა, მაშინ უფრო ხშირად თამაშობდი ძირითადში...**

— დიახ, ასე იყო. არადა, თავად ალტმანმა მოითხოვა თავის დროზე ჩემთან სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება. „ჩერნომორეცი" ჩემი ოცნების გუნდი არასოდეს ყოფილა და მოკლევადიანი, ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება მინდოდა. ახლა კი რა გამოვიდა, ან რომელიმე უკრაინულ გუნდში უნდა გამანათხოვრონ, ან სამი თვე „თამაშგარეში" უნდა ვიყო...

— **ისე, ძალიან ცუდ დროს დაგემართა ეს ამბავი. 31 იანვარს ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა...**

— ზუსტად ეგაა გულსატკენი, ალტმანმა მაინცდამაინც ბოლო დღეს გამოგვიცხადა ეს ამბავი. ევროპულ კლუბში გადასვლის შანსი ნაღდად მქონდა, მაგრამ მაშინ „ჩერნომორეცმა" სოლიდური თანხა მოითხოვა ჩემში. სანამ თბილისში წამოვიდოდი, „ჩერნომორეცის" პრეზიდენტს ვუთხარი, უსამართლოდ მოიქეცით-მეთქი. თუ ასე უნდოდათ ჩემი გუნდში დარჩენა და ძვირად მაფასებდნენ, ახლა რა შეიცვალა?

— **რომელ კლუბში გქონდა გადასვლის ვარიანტი?**

— იყო გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდები, კიდევ ერთიორი სხვა ქვეყნის კლუბი, მაგრამ „ჩერნომორეცმა" ჩემში ბევრი მოითხოვა.

— **მოკლედ, მთავარი ისაა, ზაფხულამდე უთამაშებელი არ დარჩე...**

— ასეა. ალბათ რომელიმე უკრაინულ გუნდში თუ გამანათხოვრებენ, თორემ რუსეთში წასვლა რთულია.

— **ახლა საქართველოს ნაკრებზეც: თურქეთთან ამხანაგურ მატჩზე რას იტყვი?**

— ამხანაგურია თუ ოფიციალური, ნაკრების ყველა თამაში მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, საინტერესო შეხვედრა უნდა გამოვიდეს, რაზეც თურქების შემადგენლობაც მოწმობს — უძლიერესი ფეხბურთელები მოჰყავთ. ეგაა, ყველა ლეგიონერი თანაბარ ფორმაში ვერ ვიქნებით: უკრაინაში მოსამზადებელი პერიოდია, ხოლო, მაგალითად, კალაძესა და ხიზანიშვილს ახლა გაგანია ჩემპიონატი აქვთ და გასაკვირიც არაა, უკეთეს ფორმაში იყვნენ.

— **იტალიასთან მატჩში მარცხენა მცველი იყავი და გოლი გაიტანე. დაცვაში ყველა პოზიციაზე გითამაშია და ყველაზე კარგად სად გრძნობ თავს?**

— დაცვის ცენტრში მირჩევნია, მაგრამ როცა პროფესიონალი ხარ და ნაკრებში მოდიხარ, მწვრთნელი სადაც დაგაყენებს, იქ უნდა ითამაშო. დაცვაში მართლაც ნებისმიერ პოზიციაზე მითამაშია და ეს პლუსად მიმაჩნია, უპრობლემოდ შემიძლია პოზიციის შეცვლა.

— **კლაუს ტოპმიოლერს ესაუბრე შენს ოდესურ პრობლემებზე?**

— ტოპმიოლერმა იცის ჩემი მდგომარეობა და მითხრა, როგორმე ეცადე, ზაფხულამდე უთამაშებელი არ დარჩე, მერე კი გერმანულ გუნდში გადასვლაში დაგეხმარებიო.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობიაშვილმა თურქეთი ფრჩხილებში ჩასვა

## ბუნდესლიგაში ჩვენც ვთამაშობთ

**გუშინ გერმანიის ჩემპიონობისთვის მებრძოლი „შალკე“ პირველობისთვის უპირველეს მოცილე „ვერდერს“ ლევან კობიაშვილის გარეშე ესტუმრა. ლევანი ტრავმირებულია, ისვენებს და ვერც საქართველო — თურქეთის შეხვედრისას ვნახავთ.**

**კობიაშვილის ტრავმის თაობაზე თავიდან გერმანულმა სააგენტოებმა მცდარი ცნობა გაავრცელეს, „შალკეს“ ლიდერი მძიმედ დაშავდა, საოპერაციოა და დაახლოებით ერთთვიანი მკურნალობა სჭირდებაო. ერთი თვე მკურნალობა, შემდეგ სარეაბილიტაციო კურსი და ისე გამოვიდა, კობიაშვილის იმედი არც მარტის ბოლოს შოტლანდიასთან შესარჩევი მატჩისთვის უნდა გვქონოდა. კარგია, რომ ეს ამბავი სხვანაირად ყოფილა. ლევანის ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა და, ალბათ, ბუნდესლიგის მომავალ ტურში ითამაშებს კიდეც**

— მარცხენა ფეხის თითი იყო დაჩირქებული და მცირე ოპერაცია მართლაც დამჭირდა. თითში ფრჩხილი ჩაბრუნდა და ინფექცია გამოიწვია — გვითხრა გუშინ ლევან კობიაშვილმა — პირველი ტკივილი ერთი კვირის წინ მქონდა, „აინტრახტთან“ მატჩისას მეტოქემ ფეხი ფეხზე დამაბიჯა. თითი მოტეხილი მეგონა, მაგრამ მხოლოდ დაჟეჟილობა ყოფილა. შემდეგ ორი-სამი დღე დავისვენე. შუა კვირაში „ალემანიასთან“ გამაყუჩებელი ნემსით მაინც ვითამაშე. ამ შეხვედრის შემდეგ კი ისეთი ტკივილები დამეწყო, მოთმენა აღარ შემეძლო. თითი მეორე დღესვე გამიჭრეს, ჩირქი ამოიღეს და ერთკვირიანი დასვენება გამომიწერეს.

**— ვარჯიშს როდის განაახლებ?**

— ოთხშაბათს ან ხუთშაბათს. ყოველ შემთხვევაში, ექიმებმა ასე თქვეს. ახლა ტკივილები აღარ მაქვს, არც გართულებებია მოსალოდნელი და ალბათ მომავალ ტურში ვითამაშებ კიდეც. ისე, ვიფიქრე, ვარჯიშს ორშაბათიდანვე შევუდგები და ეგებ საქართველო — თურქეთის მატჩისთვისაც ჩავიდე თბილისში-მეთქი, მაგრამ დაშავებული სწორედ სათამაშო, მარცხენა ფეხი მაქვს და ბურთთან შეხებაც კი ამიკრძალეს.

**— არადა, თავიდან ვიფიქრეთ, შოტლანდიასთან მატჩამდეც ვერ შეძლებდი ფორმის აღდგენას...**

— როცა ტრავმა მივიღე, ხომ გითხარით, თითი მოტეხილი მეგონა და გამკრა კიდეც გონებაში, ერთი-ორი თვე გამიცდება-მეთქი. კარგია, რომ მხოლოდ ამით გადავრჩი და ახლა უკვე მომავალ ტურში თამაშზე ვფიქრობ.

**— ამასობაში „ვერდერი“ — „შალკეც“ იყო, ამ შეხვედრის შემდეგ თქვენს საჩემპიონო შანსებს როგორ შეაფასებ?**

— ჯერ ყველაფერი წინაა. არც ამ მატჩამდე, მით უმეტეს, არც ახლა ვფიქრობ, რომ ჩემპიონის ვინაობა მხოლოდ „ვერდერი“ — „შალკეს“ მატჩზე იყო დამოკიდებული.

**— ისე, მეორე წრეში „შალკეს“ „ვერდერზე“ უკეთესი კალენდარი აქვს.**

— ჩვენ „ვერდერზე“ ორით მეტი საშინაო მატჩი გვაქვს. ეს, ცხადია, გარკვეული უპირატესობაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გადამწყვეტი. თანაც ერთი გასვლა მიუნხენში „ბაიერნთანაც“ გვაქვს. „ბაიერნი“ „შალკესა“ და „ვერდერს“ უკვე ჩამოშორდა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ „ბაიერნს“ ახალი და ძალიან ძლიერი მწვრთნელი ჰყავს, ჩვენს გარდა, „ვერდერსაც“ მასპინძლობს და საჩემპიონო შანსები ბოლომდე ჯერ არ დაუკარგავს.

**— მოკლედ, ჩემპიონობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა...**

— ცხადია, „ბაიერნზე“ მეტი შანსი ჩვენ და „ვერდერს“ გვაქვს. კალენდარიც საჩვენოა, მით უმეტეს, სტატისტიკით შინ ყველაზე კარგი შედეგი „შალკეს“ აქვს და ვეცდებით, ჩემპიონობა ჩვენ დაგვრჩეს. ყველა ხედავს, „შალკე“ კარგი და ძლიერი გუნდია და ჩემპიონები თუ გავხდით, არავის გაუკვირდება. ბუნდესლიგაში მხოლოდ „ბაიერნი“ და „ვერდერი“ არ თამაშობენ.

**კობა ინასარიძე**





შოთამ პსვ-ს მეკარე კი მოატყუა, მაგრამ უგოლოდ დარჩა

# ალკმაარმა ვან გაალს მოგებით მიუსამძიმრა

**შაბათს** ლუის ვან გაალის დის დაკრძალვა იყო და იმავე საღამოს მისმა „ალკმაარმა“ ცეცხლი დაანთო ეინდჰოვენის „ფილიპსზე“ — ერედივიზიონის ლიდერი მისსავე სარბიელზე 3:2 წააქცია. იშვიათია, „ალკმაარმა“ სამი ბურთი შეაგდოს და შოთა არველაძისა ერთიც არ გამოერიოს, მაგრამ შაბათს ასე მოხდა.

ქართველ ბომბარდირს ორჯერ შეეძლო გატანა: ჯერ პირველი ტაიმის მილეულს მეკარე მოატყუა, მაგრამ ვერც კარში დაარტყა და ვერც პასი გააკეთა, მეორე ნახევარში კი მასპინძელთა მეკარემ კუთხურზე მოიგერია მისი თავური. შოთამ მეორე ტაიმის ნახევარი გამთამაშებლად ითამაშა. „ალკმაარმა“ 6 ქულამდე შეამცირა პსვ-სთან სხვაობა და მართალია, ესეც არაა პატარა ჩამორჩენა, მაგრამ თავისთავად „ფილიპსზე“ მოგება უკვე საამაყო საქმეა.

„ჩელსისთან“ მატჩის დარად, „ბლექბერნის“ თავკაცმა მარკ ჰიუზმა „შეფილდთან“ თამაშიც გამოატოვებინა ზურაბ ხიზანიშვილს. „ვარდებმა“ 2:1 მოიგეს და კვლავაც ცხრილის შუაგულში დარჩნენ, „ხიზანა“ კი სათადარიგო გახლდათ.

სამწუხაროა, რომ ბუნდესლიგის სეზონის ჯახმა ლევან კობიაშვილის გარეშე ჩაიარა. „ვერდერი“ — „შალკე“ საჩემპიონო მატჩი იყო, ჩვენიანი კი ტრავმირებული უყურებდა ამ შეხლას.

მეორე ბუნდესლიგის ტური ქართველებისთვის უხეიროდ დაიწყო: პარასკევს აუე-მ შინ უპრინციპულესი თამაში 0:1 წააგო „დუისბურგთან“, რითაც უძლიერესებში გადასვლის შანსი ძალიან შეამცირა. მიჯრით მეორე მატჩია, ერცგებირგელთა მწვრთნელს სამ ფორვარდს შორის დავით სირაძის ადგილი ვერ გამოუძებნია — ქართველი მხოლოდ 64-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და გუნდს ვერ უშველა.

წლეულს ქულის დაკარგვა და გოლის გაშვება დაავიწყდა „ფრაიბურგს“, რომელმაც „უნტერჰახინგს“ სტუმრად 2:0 აჯობა. გაიტანა ალექსანდრე იაშვილმაც — 54-ე წუთზე „ჯაშის“ სანუს დარტყმული ბურთი მიუვიდა, სწრაფად დაამუშავა და დაბალ კუთხეში გაგზავნა. ამ გოლით ანგარიში 2:0 გახდა და „ფრაიმაც“ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო.

იაშვილმა სრულად ითამაშა, ოთარ ხიზანეიშვილიც ძირითადში იყო და 57-ე წუთზე შეცვალეს. მოკლედ, „დრაიზამშტადიონის“ ქართველებმა ფორმა აკრიფეს, თუმცა, გეცოდინებათ, კლაუს ტოპმიოლერმა ისინი სათურქეთო მატჩისთვის არ გამოიძახა...

ახლა გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიას ბუნდესდებიუტზე: „კარლ ცაისი“ 84-ე წუთამდე უძალიანდებოდა „კიოლნს“, მაგრამ ლომაიამ პენალტი აიკიდა, ზედ გაფრთხილებაც მიიღო და ამ გვიანი 11-მეტრიანით წააგეს იენელებმა — 0:1.

კახა კალაძესა და „მილანზე“ კი ვერაფერს მოგითხრობთ — საკითხავია, როდის და როგორ გაგრძელდება სერია A?..

**ილია ნანობაშვილი**



იაშვილმა მიმდინარე მეორე ბუნდესლიგაში მესამე გოლი გაიტანა


ლევონ თრეველი

გთავაზობთ უნიკალური შანსს, დაესწროთ შოტლანდია — საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩს გლაზგოში 24 მარტს.

იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია. განცხადებები მიიღება 28 თებერვლამდე.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №20
ტელეფონი: 250010, 250060, 250199, 8(99)537845



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი ნიკოლაიშვილი (მარჯვნივ) გოლითაც გამოირჩა და საგოლე პასითაც

# უზბეკებმა დინამოს ნახევარ საათში მოუგეს

**თბილისის** „დინამო“ გუშინ ანთალიაში უზბეკურ „მაშავს“ შეხვდა და 2:3 წააგო. „დინამოს“ მეტოქემ საქმე საწყის ნახევარ საათში მოამთავრა — უზბეკები ამ დროისთვის უკვე სამბურთიანი სხვაობით იგებდნენ. „დინამო“ კი ამის შემდეგ გამოფხიზლებულა და „მაშავის“ კართან ბევრი საგოლე მომენტიც შეუქმნია. როგორც დინამოელები ამბობენ, შესვენების შემდეგ ბურთი უზბეკთა საჯარიმოს არ მოშორებია. ერთი გოლი გიორგი მერებაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით დავით ოდიკაძემ გაქვითა, ხოლო მეორე ოდიკაძის პასით გიორგი ფეიქრიშვილმა გაიტანა.

*ვრიშიკაშვილი, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი, თომაშვილი, კობახიძე, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ხუციშვილი, იაშვილი, სპასოევიჩი* — შესვენებამდე „დინამო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა, შეცვლაზე კი *ნოზაძე გ. კაშია, მერებაშვილი, ოდიკაძე, ჯანაშია, ფეიქრიშვილი, ჩირიკაშვილი* და *აკობია* შევიდნენ.

სავარაუდოდ, „დინამო“ ნედ ზელიჩის გარდა სლოვაკ კრშკოსაც დაიტოვებს, ხოლო ჩერნიგორიელი სპასოევიჩის შესაძლებლობებს დუშან უჰრინი თბილისში დაბრუნებამდე კიდევ შეაფასებს. ხვალ დინამოელები კიდევ ერთ უზბეკურ გუნდს გაეჯიბრებიან, 10 თებერვალს კი შინ დაბრუნდებიან.

**კობა ინასარიძე**



დინამოელთა დამრიგებელ დუშან უჰრინს თავსატეხი არ აკლია

# ამერმა უნიონი აბურთავა და ოთხეული თბილისში გამოუშვა

**თავიდანვე** ისე იყო დაგეგმილი, რომ ანთალიურ შეკრებაზე ერთი ამხანაგური მატჩი „ამერს“ შედარებით სუსტ მეტოქესთან უნდა ჩაეტარებინა. ასეთ მეტოქედ გერმანიის ლანდესლიგის (მეხუთე დონე) გუნდი, ფუერსტენვალდეს „უნიონი“ შეირჩა, ხოლო „ამერს“ სასტარტო შემადგენლობაში ის ფეხბურთელები ჰყავდა, რომლებსაც წინა მატჩებში შეცვლაზე მოუხდათ თამაში.

თამაში პირველიდან ბოლო წუთამდე „ამერის“ კარნახით წარიმართა და 4:0 დამთავრდა.

მეტოქეს ლადო ნადირაშვილის კართან მომენტი არ შეუქმნია და საერთოდაც, „ამერის“ ნახევარზე გადმოსვლაც უჭირდა და მთელი გუნდით იცავდა თავს.

ანგარიში „ამერმა“ სტანდარტული სიტუაციით გახსნა. გიორგი ნიკოლაიშვილის შესრულებული საჯარიმო დარტყმა ძელს მოხვდა და კარში ისე შევარდა. ეს 33-ე წუთზე მოხდა, მეორე ტაიმის პირველივე წუთზე კი ნიკოლაიშვილმა მეორე გოლშიც დაიდო წილი: მის ჩაწოდებულს ბესიკ ჩიმაკაძემ თავი დაჰკრა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

მესამე გოლი 49-ე წუთზე ისევ ჩიმაკაძემ გაიტანა - ამჯერად ფეხით და დავით მჭედლიშვილის პასით. მეოთხე გოლი კი 73-ე წუთზე მიხეილ მესხმა შეაგდო, რომლისთვისაც ეს პირველი გოლი იყო „ამერში“ მოსვლის მერე.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნადირაშვილი, ფირანიშვილი (ელბაქიძე 58), გვაძაბია (დავითნიძე 58), ხვადაგიანი (ჩიკვილაძე 58), კაკაშვილი (დიდავა 58), მჭედლიშვილი (დოლიძე 58), დობროვოლსკი (მესხი 58), გაბისკირია (დეკანოსიძე 50; ბოლქვაძე 58), ნიკოლაიშვილი (ჯელაძე 58), გრბოვიჩი, ჩიმაკაძე (დავითაშვილი 58).*

მომდევნო ამხანაგურ მატჩს „ამერი“ 6 თებერვალს უკრაინულ „ვორსკლასთან“ ჩაატარებს, რომელსაც შარშანაც შეხვდა და 2:2 ითამაშა.

დღეს კი ოთხი ამერელი — რატი წინამძღვრიშვილი, გიორგი ელბაქიძე, ზურაბ გვაძაბია და დავით მჭედლიშვილი — თბილისში გამოემგზავრა, რაკი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი.

**გიორგი დარჯანია**
*ბელეკიდან*

# პროტასოვმა აზრი შეიცვალა

**დნეპროპეტროვსკის** „დნიპრო“ შეკრების მეორე ეტაპს კვიპროსზე გაივლის. გუნდი დღეს გაფრინდება კუნძულზე, მისი ქართველი ნახევარმცველი ჯაბა კანკავა კი საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული და უკრაინულ გუნდს თურქეთთან ამხანაგური თამაშის შემდეგ შეუერთდება.

დნეპროპეტროვსკელთა მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა გუნდის მეორე ქართველზე აზრი შეიცვალა — კვიპროსულ შეკრებაზე თავდამსხმელი რევაზ ბარაბაძეც წაიყვანა, რომელიც გუნდს პირველ შეკრებაზე არ ახლდა და დუბლებთან ერთად ვარჯიშობდა.

კვიპროსზე „დნიპრო“ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს — პოლონურ „კორონასთან“ და სერბეთის „ცრვენა ზვეზდასთან“. პოლონელებთან თამაშში კანკავა არ იქნება, ბარაბაძეს კი შანსი აქვს, ორივე შეხვედრაში ითამაშოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტესტი მუშტაიდთან

**საქართველოს** ჩემპიონატის უმაღლესლიგელები მეორე წრისთვის ემზადებიან და ერთმანეთში სპარინგ-მატჩებსაც მართავენ.

„ნორჩი დინამოელის“ მოედანზე ერთმანეთს ბოლნისის „სიონი“ და „ბორჯომი“ შეხვდნენ. თამაში მოქმედი ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი ბოლნისელთა კამერუნელმა ლეგიონერი ერიკ რომეო ჩასემმა გაიტანა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*„სიონი“: მამალაძე, კობაური, ბოიომო, ლ. ჭელიძე, ექონია, სილაგაძე, ზ. ჭელიძე, ევოჩე, კვიტაიშვილი, ალავიძე, ჩასემი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ბობღიაშვილი, რაქვიაშვილი, ქურასბედიანი, ცხადაძე, ჩაგელიშვილი, ნეფარიძე, ჩხეტიანი, უგრეხელიძე, სვანიძე.*

*„ბორჯომი“: შეყრილაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ლონლაძე, საყვარელიძე, რ. კვერნაძე, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი, ნადირაშვილი, ავალიანი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: თედიაშვილი, გოგიჩაიშვილი, მძინარიშვილი.*

*გიორგი ყიფშიძე, „სიონის“ მწვრთნელი:* კმაყოფილები ვართ, მართალია, გუნდმა დღეს ვერ აჩვენა თავისი საუკეთესო თამაში, მაგრამ ეს მინდვრის საფარის ბრალია.

*ვლადიმერ ხაჩიძე, „ბორჯომის“ მთავარი მწვრთნელი:* მერამდენედ გვიხდება ახალი გუნდის შექმნა, თვლა აღარ აქვს. მთლიანობაში გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, ხარვეზები კი გვაქვს, მაგრამ დროც საკმარისია მათ აღმოსაფხვრელად. მეორე წრეში „ბორჯომთან“ იოლ სამ ქულაზე არავინ იფიქროს, ლიდერებმაც კი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჯაკობიამ არსენალი თქვა და ჯვარიც დაიწერა

**ტრავმებით** განაწამებ ლაშა ჯაკობიას ხარკოვის „მეტალისტის“ მთავარ მწვრთნელ მირონ მარკევიჩთან გაურთულდა ურთიერთობა — მარკევიჩი ქართველ ფეხბურთელს ნაკრებში თამაშის გამოც კი გაუნაწყენდა და ჯაკობიამაც პირველი წრე იჯარის წესით კიევის „არსენალში“ გაატარა, თუმც ტრავმის გამო სულ ხუთი თამაში მოასწრო და ორი ბურთის გატანაც მოახერხა.

ქართველ თავდამსხმელს „მეტალისტთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და ხარკოველები კონტრაქტის გაგრძელებას სთავაზობენ, თუმც ჯაკობია ისევ ალექსანდრ ზავაროვის გუნდის განაცხადში გამოჩნდა.

ჯაკობიას გუშინ რომ შევეხმიანეთ, ჯვრისწერისთვის ემზადებოდა — მისი მეუღლე მომღერალი ქრისტინე იმედაძეა...

— ისევ „არსენალის“ განაცხადში გამოჩნდი, რა მოხდა?

— „მეტალისტს“ ჩემი გაშვება არ უნდოდა, მაგრამ აურზაური ავტეხე, მაგ გუნდში ვეღარ ვითამაშებდი. ზავაროვს კარგად ვიცნობ და მან ისევ განათხოვრების წესით სეზონის ბოლომდე დამტოვა „არსენალში“.

— სეზონის ბოლოს „მეტალისტთან“ კონტრაქტი გიმთავრდება, თავისუფალი აგენტი ხდები და „არსენალში“ გადასვლაზე პრობლემები აღარ შეგექმნება...

— სავარაუდოდ, ასე უნდა მოხდეს. თუ კლუბი ფინანსურ სირთულეებს არ წააწყდა და ზავაროვი გუნდში დარჩა, მეც „არსენალში“ ვითამაშებ.

— ვარჯიში უკვე დაიწყე?

— ჯერ მხოლოდ ტუნტულით დავრბივარ. ოთხშაბათს „არსენალი“ თურქეთში მიდის შეკრებაზე, თან მივყვები და ინდივიდუალური პროგრამით ვივარჯიშებ.



— თამაშს როდის შეძლებ?

— ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ მეორე წრეში საწყისი ორი-სამი ტურის გამოტოვება მომიწევს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები ოსებთანაც გამოსცადეს

**თბილისის** „დინამოს“ მიერ ტრანსფერზე დაყენებულ მიხეილ ბობოხიძეზე ლუგანსკის „ზარიამ“ რომ უარი თქვა, უკვე გამცნეთ. ლუგანსკელები ახლა სხვა ქართველ ფეხბურთელებს სინჯავენ — ლევან მელქაძესა და გიგლა ახალაიას — და ისინი „ალანიასთანაც“ გამოსცადეს.

„ზარიამ“ ვლადიკავკაზელებს 3:0 მოუგო. მელქაძემ 90 წუთი ითამაშა, ახალაია კი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა.

# მოულოდნელი ფოტოსესია: ტესტი იუმორზე






## მნიშვნელოვანი ქალბატონი

ქალი ფარია, ქალი ხმალია — ჩვენი ეროვნული გუნდების მთავარსარდალს მხნეობას ალბათ ესეც მატებს. ცოლი ყოველთვის ახდენს რაღაც გავლენას ქმარზე და ტოპმიოლერის მეუღლე როზი იმ ეროვნულ საქმეში, რასაც ეროვნული ნაკრები ჰქვია, უმნიშვნელო ფიგურა ვერ იქნება.




# ჩვენ ერთი გუნდი ვართ!



რომ არა მისი უმაღლესობა, ვერ იქნებოდა ჰერ კლაუსი ჩვენი უპირველესი გუნდის თავი და ალბათ ვერც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტდამთავრებული გახდებოდა ასე უცბად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. თუმც ახლა მთავარი სულ სხვაა, სახელდობრ კი ის, რომ „ჩვენ ერთი გუნდი ვართ"!





ევროპის ერთა თასი 2007. პირველი ტური

## რუმინეთი 17:20 საქართველო

3 თებერვალი. ბუქარესტი. გენჩა

| | |
|---|---|
| **რუმინეთი:** ვლაიკუ, ფერჩუ, ბრეზოიანუ, გონტინიაკი, სუანი; ტოფანი, სირბუ; მერსოიუ, მაკოვეი, კოროდეანუ, პეტრე, სოკოლი (კაპ), ტოდერაშკი, ტინკუ, ბალანი | **საქართველო:** ჯიმშელაძე, მაჩხანელი, გიგაური, ი. გიორგაძე, შკინინი; კვირიკაშვილი, აბუსერიძე; უდესიანი, ჩხაიძე, ი. მაისურაძე, დათუნაშვილი, ზედგინიძე (კაპ), ზირაქაშვილი, ა. გიორგაძე, ხინჩაგიშვილი |
| შეცვლაზე შევიდნენ: პოპესკუ, მავროდინი, ურსაჩე, კალაფატიანუ, გალი, დუმიტრაში | შეცვლაზე შევიდნენ: კოპალიანი, დიდებულიძე, სამხარაძე, დ. კაჭარავა, ელიზბარაშვილი |
| 1 ლელო: პეტრე; 3 საჯარიმო: ვლაიკუ; 1 არეკნი: ტოფანი | 2 ლელო: ა. გიორგაძე, უდესიანი; 2 გარდასახვა: კვირიკაშვილი; 2 საჯარიმო: კვირიკაშვილი |

*მსაჯები: კოლინ სტენლი, ალან როგანი, დევიდ უილკინსონი (ირლანდია)*

# გენჩაში მუხა დაიმეხა




**მძიმეა** რუმინული მუშტი და წიხლი, მაგრამ რაც მეტად მძიმეა, მით მეტად ტკბილია გამარჯვება, უფრო კი საამაყოა, რაკიღა ამ ძველ „სპორტულ მტერსაც“ ვაგრძნობინებთ ქართულ ძალას.

ალვების ქვეშ, ჩამოფხავებული ტრიბუნებით შემორაგულმა გენჩას მინდორმა მეორედ იხილა ქართველი დევკაცების გამარჯვება. პირველად 2001 წელს იყო და ის თამაში შემთხვევით რომ არ მოიგეს, ეს ახლაც დაამტკიცეს ბორჯღალოსნებმა. თანაც ეს მეორე გამარჯვებაა სამ წელში, ასე რომ, გაფრთხილდით, რუმინელებო! სარაგბო ევროპის მეორე ექვსეულში ყველა მოედანი თქვენი აღარაა.

არადა, რა ხალხი აკლდა „ბორჯღალის გუნდს“?! ლაბაძეო, გორგოძეო, შველიძეო, ურუშაძეო, ურჯუკაშვილიო და კიდევ სხვებიცო. ესენი ნაღდად არაფერს გააფუჭებდნენ, მაგრამ მათ მაგივრად მორაგბე ბიჭებმა ისე თავდაჯერებულად და ლაღად იბურთავეს, თითქოს ჩეხეთს ან ჰოლანდიას ეთამაშებოდნენ. თითქოს სხეულმა ახალი სისხლი იგრძნოო, ნაკრები უფრო მძლავრად და ხალისიანად ამოძრავდა.

მერაბ კვირიკაშვილს ნაკრებში პირველად არ უთამაშია და არც მისი 10 ნომრობაა სიახლე, ამ პოზიციაზე ჯერ კიდევ კლოდ სორელმა მოსინჯა 2003 წლის მსოფლიოს თასზე, მაგრამ მაშინ მას გამოუცდელობა და თავდაუჯერებლობა ეტყობოდა, შაბათს კი აშკარად სხვა მეკო ვიხილეთ, რომელიც ბასრი პასის გარდა კარში დარტყმებითაც გამოირჩა და ერთხელ რუმინელებს ისეთი გაუტანა, ნებისმიერი საფეხბურთო მეგავარსკვლავი მოაწერდა ხელს. სხვებიც მაგრად იდგნენ, მოედანზე არავინ იყო ზედმეტი და შემთხვევითი, გუნდად შეკრული ქართველები ხალისით და საკმაოდ მრავალფეროვნად უტევდნენ, თავსაც საქმის ცოდნით იცავდნენ და ალალად დაიმსახურეს გამარჯვება. მოკლედ, ეს იყო საქართველოს თანამედროვე ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო თამაში.

საწყისი წუთებიდან გამოჩნდა, რომ ბორჯღალოსნები რუმინეთში წასაგებად არ იყვნენ ჩასულები. მართალია, პირველივე საკუთარ აუტში ბურთი მეტოქეს ჩააბარეს და მათი იერიშის მოგერიება მოუხდათ, მაგრამ იოლად მოიგერიეს და თავად გადავიდნენ შეტევაზე, სამაგიეროც გადაუხადეს — აუტში ახლა მათ ააცალეს ბურთი, მოლით მიეძალნენ და კარგა 20 მეტრით დაახევინეს ცოტა არ იყოს დაბნეულ რუმინელ მორკინალებს, მათ ლელოს 5 მეტრამდეც მიუახლოვდნენ და დამცველები აიძულეს, დაჯარიმებულიყვნენ. აქ ქართველებს შეეძლოთ, შერკინება მოეთხოვათ და ძალისმიერი ლელოს გატანა ეცადათ, მაგრამ ჯარიმა შეირგეს, კვირიკაშვილმა 3-ქულიანი გაიტანა და ჩვენები დააწინაურა, რის შემდეგაც ქართველებს აღარც გაუშვიათ უპირატესობა. მე-19 წუთზე სტუმართა შერკინებამ კვლავ მოიპოვა ჯარიმის დარტყმის უფლება, ამჯერად მარჯვენა კიდესთან. მახვილი კუთხე იყო, მაგრამ კვირიკაშვილმა დარტყმა გარისკა და არ წააგო. ცაციათი დარტყმული ნესვა ბურთი ისე გაფრინდა, იფიქრებდით, კარს მეტრნახევრით მაინც ასცდებაო, მაგრამ ფრენისას მიმართულება იცვალა და ძელებსშორის ზუსტად შუაში შეფრინდა. ნამდვილი სარაგბო „ხმელი ფოთოლი“ იყო.



საქართველო 6:0 დაწინაურდა და ჩანდა, რომ ამაზე არ გაჩერდებოდა. რუმინელებმა საფრთხე იგრძნეს და უხეშობით სცადეს მეტოქისთვის შეტევის ხალისის ჩაქრობა. ჩვენს გარემარბ ირაკლი მაჩხანელს თვალში ისეთი უთავაზეს, რომ ლამის მუშტისოდენაზე დაუსივდა. ირაკლი მაინც მოედნისკენ იწევდა, მაგრამ აშკარა იყო, თამაშს ველარ გააგრძელებდა და მის მაგივრად მოედანზე გიორგი ელიზბარაშვილი შევიდა.

ამ ეპიზოდით თითქოს რუმინეთმა მოიგო, თამაში გათანაბრდა და მასპინძელთა ახალგაზრდა მცველმა ფლორინ ვლაიკუმ 40 მეტრიდან საჯარიმოთი 3 ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ თამაში ხეირიანად განახლებულიც არ იყო (ანუ სანამ რეპორტაჟში ვლაიკუს დარტყმას ამეორებდნენ), ქართველები რუმინელთა კარის სიახლოვეს ჩათვლის მოედნიდან რამდენიმე მეტრში გაჩნდნენ და მძლავრადაც მიაწვნენ. რამდენიმე ძალისმიერი მანევრი და ქართველთა უგამოცდილესმა კვაჭმა აქვსენტი გიორგაძემ ბოლო კარპატული ბჭეც შელეწა და კარის ძელებშუა დაამიწა.

კვირიკაშვილის გარდასახვის შემდეგ „ლელოები“ 13:3 დაწინაურდნენ და კიდევ უფრო დააფეთეს მასპინძლები. მართალია, ამათ მალე საჯარიმოთი 13:6 შეამცირეს სხვაობა, მაგრამ აშკარა იყო, ჩვენებურებს თამაშის რიტმიდან ამოგდებულები ჰყავდათ. ქართველები იგებდნენ, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდნენ, ერთთავად უტევდნენ და გვარიანი წარმატებითაც. ეგაა, ეს უპირატესობა ქულებად ვეღარ [illegible] ძეს გაუცუდდა არეკნი, შემდეგ კი ელიზბარაშვილს [illegible] 13:6 დასრულდა.

მეორე ტაიმში სულ სხვა რუმინეთი ვიხილეთ, ჯიქურადაც და ეშმაკურადაც მომწოლი, თან ვერაგულად ჩამრტყმელი და ყველაფერთან ერთად მწყობრად მოთამაშეც, ანუ როგორიც გვახსოვს თბილისური და ბუქარესტული ჯახებიდან, მაგრამ მაგრად იდგნენ ქართველებიც. შესვენების შემდეგ თამაშის განახლებისთანავე ბორჯღალოსანთა ძველმა მეტოქემ იონუც ტაიფონმა არეკნი გაიტანა და სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა, მაგრამ ქართველებს პასუხი არ დაუხანებიათ, შერკინებით კვლავ მიუახლოვდნენ კარპატელთა ლელოს და ახლა ბესიკ უდესიანმა შეამტვრია რუმინული დაცვის კედელი. კვირიკაშვილმა ეს ლელოც გარდასახა და 20:9 წასწია ბორჯღალის გუნდი.

სულ გახელდნენ რუმინელები. ტაიმის შუაწელს ზორბა კრისტიან პეტრემ გარდაუსახავი ლელო გაიტანა (20:14), მერე კი მასპინძლები აშკარა პროვოკაციასაც არ მოერიდნენ, ვერაგულად ნაგვემი მაჩხანელის შემცვლელი გიორგი ელიზბარაშვილი ისე დაწიხლეს, ბიჭი კარგა ხანს იწვა მიწაზე და მინდორზევე შემოსული სასწრაფოთი წასაყვანი გახდა.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ რუმინელებს მუხანათობაც კარგად ეხერხებათ. პატარა გაწევგამოწევაში ირლანდიელმა მსაჯმა კოლინ სტენლიმ ჩვენებური ილო მაისურაძე გამოარჩია და 10 წუთით გაასინბინა. ილო რუმინელთა ავ-კარგის ხსენებით და კბილების ღრჭიალით გავიდა მოედნიდან და ცოტა შეფიქრიანებულები დავგტოვა, მაგრამ მის თანაგუნდელებს ღიდი შფოთვის საბაბი არ მიუციათ, ვაჟკაცურად იცავდნენ თავს და ზედახორაში ბურთის წართმევით ანეიტრალებდნენ მეტოქეთა იერიშებს, დროდადრო კი თავადაც პასუხობდნენ. დარჩენილ 15 წუთში „მუხის ფოთლებმა“ მხოლოდ ერთი საჯარიმო თუ მოინადირეს და კვლავ 3 ქულამდე მიუახლოვდნენ ქართველებს, ეს იყო და ეს. „ქართულად ნერვიულობაც“ ვერ მოვასწარით, მატჩი დამთავრდა და ეს მესამე გამარჯვებაა რუმინეთთან ათ შეხვედრაში.

ბორჯღალოსნებმა ამ სასახელო მოგებით დაიწყეს 2007-2008 წლების ერთა თასი და პირველივე შეხვედრაში „მუხის ფოთლების“ ძლევით მოიპოვეს ჩვენ ორთა შორის საცილო ანთიმოზ ივერიელის თასი. მოკლედ, მშვენივრად დაიწყო წელი, თან ნუ დაივიწყებთ, ეს წელი მსოფლიოს ჩემპიონატისაა, რომელზეც ეს ჭეშმარიტად ქართველი ვაჟკაცების გუნდი მეორედ წარადგენს საქართველოს.

**ირაკლი ფირაშვილი**

3 თებერვალი

**პორტუგალია 21:18 ესპანეთი**

**ექვსი ერი 2007**

3 თებერვალი

**ინგლისი 42:20 შოტლანდია**

**იტალია 3:39 საფრანგეთი**

4 თებერვალი

**უელსი 9:19 ირლანდია**

## საქართველოს ჩემპიონატი

# აზოტმა თასი არ გაიმეორა

### ქართველი ჩირლიდერები და ლიდერის მორიგი გამარჯვება

3 იანვარი

**თსუ 93:108 აზოტი**
*23:21 22:31 24:29 24:27*
**თსუ:** ვეჭხაძე (6), ბ. ბერიშვილი (14), ფაჩულიძე (7), მ. ბერიშვილი (21), სანიკიძე (3); ლეჟავა (11), არწივიძე (5), მათიაშვილი (20), შანიძე (6), მარხვაშვილი
**აზოტი:** გამყრელიძე (21), ტულუში (22), მარკოიშვილი (16), გოგობერიშვილი (5), უგრეხელიძე (19); ბეჟანიშვილი (19), ტუჯანი (4), დიდია (2), ჭოჭუა, ბერძენიშვილი
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე*
*კომისარი: მურმან ქურიძე*

**მაკაბი 86:84 სტუ**
*20:17 24:21 18:16 24:30*
**მაკაბი:** დოლიძე (7), კორკოტაძე (17), პირველაშვილი, ს. შერმადინი (14), გ. შერმადინი (42); ნინუა (2), ენუქიძე (4)
**სტუ:** კოხრეიძე (13), ძიძიგური (3), ბერაია (25), მაისურაძე (10), ახალკაცი (4); გ. ბარბაქაძე (20), დევაძე (4), ბაბუნაშვილი (2), ეძგვარაძე (3)
*მსაჯები: მაკა კუპატაძე, მიხეილ ანდღულაძე*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**ავიამშენი 107:94 დინამო**
*30:17 27:25 28:24 22:28*
**ავიამშენი:** ნიკოლაძე (18), ი. ბერიშვილი (21), მოსეშვილი (9), ბაბიაშვილი (29), ნინიაშვილი (21); როდუმტა (9)
**დინამო:** გულისაბედაშვილი (23), ფაიქრიძე (3), გაბაშვილი (2), ბოლქვაძე (8), მურჯიკნელი (6); ბადრიძე (19), ტაბატაძე (3), ლაფანაშვილი (6), წერეთელი (2), ნ. ნოზაძე (22)
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**საზამთრო** შესვენების შემდეგ შაბათს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი განახლდა და მოედანს კვლავ დაუბრუნდა ხალისი და თვალისთვის წყლის დასალევი სანახაობები. ამაში თამაშის ხარისხს კი არ ვგულისხმობთ, არამედ იმ შოუ წარმოდგენებს და მინი-კონკურსებს, რომლებსაც მაყურებელს სუპერლიგა წარმოუდგენს.

თუკი აქამდე მოცეკვავეთა დასი მხოლოდ ევრედ წოდებული ბრეიკდანსით შემოიფარგლებოდა, ახლა გოგონებმა ამერიკელ ჩირლიდერებს მიბაძეს და ისე ცდილობენ მაყურებელთა საქომაგოდ მომართვას. ეგაა, ქართველ „ჩირლიდერებს" გამოცდილება აკლიათ, თუმც ვერის ბაღში მოსულ ქომაგს ეს ნაკლებად აღელვებს და წუთშესვენებების დროს გვარიანად ხალისობს.

არასპორტული თემა გაგვიგრძელდა, თუმც ეს გასაგებიცაა, მატჩები არ იყო ისეთი, თვალი ვერ მოგეწყვიტა. შაბათს მოედანზე სუპერლიგის ექვსივე გუნდი გავიდა, ცენტრულურად კი თსუ — „აზოტის" მატჩი მიიჩნეოდა.

რუსთაველებმა მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი ერთი კვირის წინ თასის გათამაშების ფინალში იწვნიეს „ავიამშენთან" და თსუ-ც მოტივირებული იყო, „აზოტის" სასუპერლიგო წაუგებელი სერიის შეწყვეტა სურდა.

სურვილი ერთია და მისი განხორციელება მეორე. „აზოტმა" მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ იმხელა უპირატესობა მოიპოვა, რომ მატჩის ბოლო წუთებმა აზრი დაკარგა. სიმართლე ითქვას, თსუ-ს. არც ჰქონდა საიმისოდ საკმარისი რეზერვი, რომ რუსთაველები დაემარცხებინა. სტუდენტებს აკლდათ ტანმაღალი დავით იმნაძე, ხოლო გუნდის კაპიტანი შიო ხეცურიანი ძველებურად ტრავმას მკურნალობს და ასეთ ვითარებაში თბილისელების გამარჯვება გვარიანი მოულოდნელობა იქნებოდა.

იმნაძის არყოფნაში რიჩარდ მათიაშვილი მარტო დარჩა რუსთაველი მეფარეების პირისპირ, მაგრამ მოულოდნელად ხელი გამოიღო თსუ-ს ახალგაზრდა თავდამსხმელმა მიხეილ ბერიშვილმა, რომლის ქულუხვობაც თბილისელებს პირველ ტაიმში დიდად ეხმარებოდა.

მესამე მეოთხედის ბოლოს „აზოტი" 12 ქულით იგებდა. თამაშის განახლებისთანავე, როცა სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა, ყველა დარწმუნდა, რომ რუსთაველების წაუგებელ სვლას გააგრძელებდნენ.

დღის სხვა მატჩებში ის იყო საინტერესო, რომ „მაკაბის" ცენტრი გიორგი შერმადინი კვლავ ასცდა 40-ქულიან ზღვარს და თავის გუნდს სტუ-სთან მოაგებინა. ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი ბარაქიანად კი იგებდა, მაგრამ ბოლო წუთებზე ყურადღება მოადუნა და კინაღამ დაისაჯა — საბოლოოდ მხოლოდ 2 ქულით იმარჯვა.


თსუ-ელ მიხეილ ფანჩულიძეს რუსთაველი მიხეილ ჭოჭუა კინაღამ გადააფრინდა

მესამე მატჩის შედეგი წინასწარ იყო ცნობილი: „ავიამშენი" 6 კაცით ეთამაშებოდა „დინამოს", მაგრამ მერე რა, მაინც თავად იყო უპირობო ფავორიტი და იოლადაც მოიგო — 108:93.

ტურის საუკეთესო მოთამაშედ კი ჟურნალისტებმა „აზოტის" უკანახაზელი კოტე ტულუში დაასახელეს, რომელმაც 22 ქულა ჩაუგდო თსუ-ს და რუსთაველთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# თვის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი
**კრის ბოში (ტორონტო)**

### დასავლეთი
**სტივ ნეში (ფინიქსი)**





თებერვალი დადგა და ნბა-მ მედიას იანვრის გამორჩეული მწვრთნელ-მოთამაშეები წარუდგინა. აღმოსავლეთში ყველა ნომინაციაში საუკეთესოდ „ტორონტო რეპტორზის" წარმომადგენელი დასახელდა, რაც ყველამ გუნდურ წარმატებად ჩათვალა. ნბა-ს ერთადერთმა კანადურმა გუნდმა იანვარში 15 მატჩი გამართა და 10 მოიგო, რისი წყალობითაც ატლანტიკის დივიზიონის თავში მოექცა და 2003 წლის შემდეგ პირველად გაიდადებითა მოგება-წაგებათა პროცენტული მაჩვენებელი.

„ტორონტოს" ლიდერი კრის ბოში აღმოსავლეთის თვის მოთამაშედ დასახელდა, მწვრთნელი სემ მიტჩელი თვის მწვრთნელად, იტალიელი ახალწვეული ანდრეა ბარნანი კი თვის ახალბედად. ბოშს გადასარევი თვე ჰქონდა — იანვრის მატჩებში საშუალოდ 25,4 ქულას და 9,1 მოხსნას იხვეჭდა და იმდენი ქნა, ხალხს თავი ოლ სტარისთვის აღმოსავლეთის სასტარტო ხუთეულში აარჩევინა.

დასავლეთში კი ფინიქსელები დაფასდნენ, თვის მოთამაშედ — რა გასაკვირია და — სტივ ნეში დასახელდა, რომელმაც საშუალოდ 18,0 ქულა და 13,0 პასი მოინაგრა, თვის მწვრთნელად კი ზედიზედ მეორედ აღიარეს „ფინიქსისვე" მენტორი მაიკ დანტონი, ვის ხელშიც ამ „საშინელმა" გუნდმა 16 თამაშიდან 15 მოიგო.

დასავლეთის თვის ახალბედას პრიზი კი „პორტლენდის" 198-სანტიმეტრიან მსროლელს, 2006 წლის დრაფტზე მეექვსე ნომრად არჩეულ ბრენდონ როის შეხვდა, ვინც იანვრის შეხვედრებში საშუალოდ 16,6 ქულა, 4,8 მოხსნა, 3,4 პასი და 1,7 ჩაჭრა აკეთა.

## ALL-STAR ყველა ვარსკვლავი ALL-STAR

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
| --- | --- |
| **დამწყები ხუთეულები** | |
| ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი), დუეინ ვეიდი (მაიამი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კრის ბოში (ტორონტო), შაკილ ონილი (მაიამი) | კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი), კევინ გარნეტი (მინესოტა), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), იაო მინი (ჰიუსტონი) |
| **სათადარიგოები** | |
| ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი), რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი), ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი), ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი), კერონ ბატლერი (ვაშინგტონი), ჯერმენ ონილი (ინდიანა), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | სტივ ნეში (ფინიქსი), შონ მერიონი (ფინიქსი), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი), დირკ ნოვიცკი (დალასი) ალენ აივერსონი (დენვერი), კარლოს ბუზერი (იუტა) ტონი პარკერი (სან ანტონიო) |
| **მწვრთნელი:** ედი ჯორდანი (ვაშინგტონი) | **მწვრთნელი:** მაიკ დანტონი (ფინიქსი) |

2 თებერვალი

**ატლანტა 91:103 ტორონტო**
**ატლანტა:** ლუ (2), ჯონსონი (28), სმიტი (26), მ. უილიამსი (11), რაიტი; **ზაზა ფაჩულია** (32 წუთი, 11 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ჩილდრესი (11), კლექსტონი (2), შ. უილიამსი
**ტორონტო:** პარკერი (12), კალდერონი (14), გარბახოსა (3), ბოში (24), ნესტეროვიჩი (12); ბარნანი (11), პეტერსონი (21), ფორდი (4), გრემი (20)

**დენვერი 114:107 პორტლენდი**
*ძირითადი დრო 97:97*
**დენვერი:** ენტონი (23), ილარიო (20), ბლეიკი (19 ქულა, 14 პასი)
**პორტლენდი:** რენდოლფი (25), როი (22 ქულა, 11 პასი)

**ფილადელფია 112:101 გოლდენ სტეიტი**
**ფილადელფია:** იგუდალა (25 ქულა, 10 მოხსნა, 13 პასი), მილერი (19)
**გოლდენ სტეიტი:** დევისი (25 ქულა, 12 პასი), ელისი (21)

**ბოსტონი 89:100 კლიპერსი**
**ბოსტონი:** ბრონდო (23), ჯეფერსონი (21)
**კლიპერსი:** ბრენდი (26 ქულა, 19 მოხსნა), მობლი (20)

**კლივლენდი 101:81 შარლოტი**
**კლივლენდი:** ჯეიმსი (18 ქულა, 10 მოხსნა), გუდენი (16)
**შარლოტი:** უოლესი (16), მორისონი (14)

**დეტროიტი 96:86 მილუოკი**
**დეტროიტი:** ბილაფსი (20 ქულა, 8 პასი), ჰამილტონი (18)
**მილუოკი:** ბოგუტი (21 ქულა, 13 მოხსნა), პატერსონი (16)

**ნიუ ორლეანი 90:83 მინესოტა**
**ნიუ ორლეანი:** პოლი (24), ჩანდლერი (16 ქულა, 18 მოხსნა)
**მინესოტა:** ბლუნტი (21), გარნეტი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**ორლანდო 119:86 ნიუ ჯერსი**
**ორლანდო:** თურქოღლუ (22), ჰოვარდი (19)
**ნიუ ჯერსი:** კარტერი (25), ჰაუსი (12)

**სიეტლი 101:107 ჩიკაგო**
**სიეტლი:** ალენი (29), კოლისონი (20 ქულა, 12 მოხსნა)
**ჩიკაგო:** დენგი (27 ქულა, 12 მოხსნა), ჰაინრიხი (20 ქულა, 9 პასი)

**ინდიანა 95:84 ლეიკერსი**
**ინდიანა:** ონილი (22), ტინსლი (16)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (22), პარკერი (20)

3 თებერვალი

**ფინიქსი 105:108 იუტა**
**ფინიქსი:** სტუდემაიერი (28), ნეში (22 ქულა, 10 პასი)
**იუტა:** ოქური (29 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (28 ქულა, 10 პასი)

**შარლოტი 98:90 გოლდენ სტეიტი**
**შარლოტი:** ფელტონი (22), ვოლესი (21 ქულა, 16 მოხსნა)
**გოლდენ სტეიტი:** დევისი (21), ჰარინგტონი (17)

**ვაშინგტონი 102:118 ლეიკერსი**
**ვაშინგტონი:** არენასი (37), სტივენსონი (17)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (39), პარკერი (20), ოდომი (19)

**ორლანდო 86:94 ნიუ იორკი**
**ორლანდო:** მილიჩიჩი (19), ჰოვარდი (15 ქულა, 11 მოხსნა)
**ნიუ იორკი:** კარი (27), ფრაი (18)

**მემფისი 110:116 ინდიანა**
**მემფისი:** გასოლი (30), მილერი (26)
**ინდიანა:** ონილი (27 ქულა, 12 მოხსნა), ტინსლი (25)

**ჰიუსტონი 74:87 ნიუ ორლეანი**
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (18), ჰედი (14)
**ნიუ ორლეანი:** ბრაუნი (18), პოლი (12 ქულა, 9 პასი)

**დალასი 94:93 მინესოტა**
**დალასი:** ტერი (22), ჰოვარდი (22 ქულა, 10 მოხსნა)
**მინესოტა:** გარნეტი (25 ქულა, 12 მოხსნა), დევისი (20)

**მილუოკი 98:117 მაიამი**
**მილუოკი:** უილიამსი (38), ვილანუევა (16 ქულა, 11 მოხსნა)
**მაიამი:** ვეიდი (32 ქულა, 8 მოხსნა, 11 პასი), კაპონო (28), ონილი (20)

**პორტლენდი 86:88 ჩიკაგო**
**პორტლენდი:** რენდოლფი (27), როი (16)
**ჩიკაგო:** გორდონი (33), ჰაინრიხი (17)

**საკრამენტო 94:87 დენვერი**
**საკრამენტო:** მარტინი (28), არტესტი (21 ქულა, 11 პასი)
**დენვერი:** ენტონი (20), ილარიო (13)

# ჯერ ფეხბურთი, მერე ჭიდაობა



გიორგი გოგშელიძემ ბაკურიანში წასვლამდე ჟურნალისტებს გოლი გაუტანა

მოჭიდავეებმა 2007 წლის სეზონი ბათუმური საქართველოს პირველობით გახსნეს. ბერძენ-რომაელებმა ახლახან პირველი საერთაშორისო ტურნირიც მოიარეს. გუშინ კი ორივე სტილის მიმდევრებმა ევროსამზადისი ბაკურიანული ორკვირიანი შეკრებით გააგრძელეს.

„სეზონის გამხსნელ შეკრებაზე თავისუფლები და კლასიკოსები 21-21-კაციანი შემადგენლობით გაემგზავრნენ. ნაკრების თავკაცებმა თან ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი ყველა კანდიდატი იახლეს. თითოეულ წონაში ორი-სამი მოჭიდავე მოემზადება“ — გვითხრა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაიშვილმა.

ფედერაციაში უკვე იმ საერთაშორისო ტურნირთა სიაც ჩამოწერეს, ეროვნული გუნდები 17-22 აპრილს ბულგარეთში ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად რომ გამოიყენებენ. ბერძენ-რომაელებს 24-25 თებერვალს ანთალიურ მსოფლიოს თასზე და 1-2 მარტს ტაშკენტის ტრადიციულ საერთაშორისო პირველობაზე მოუწევთ ხალიჩაზე გასვლა.

თავისუფლები კი კიევის, ანკარისა და ტაშკენტის ტურნირებს იჭიდავებენ. პირველი 24-25 თებერვალს გაიმართება, მეორე-მესამე — 3-4 მარტს. შესაბამისად, ნაკრების შემადგენლობა ორ ნაწილად გაიყოფა.

ბაკურიანული შეკრების დაწყებამდე მოჭიდავეებმა ფეხბურთშიც წაივარჯიშეს — გუშინ ორივე სტილის წევრ-კანდიდატების გუნდი სპორტის დეპარტამენტის დარბაზში ჟურნალისტებს ეთამაშა და რამაზ ნოზაძის, გიორგი გოგშელიძის და მანუჩარ კვირკველიას გოლებით 5:1 იმარჯვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ტრამპლინიდან ხტომა

## მსოფლიოს თასი
### ნოიშტადტი (გერმანია)

| დიდი ტრამპლინი. HS 142 | |
|---|---|
| 1. ალამ მალიში (პოლონეთი) | 293,8 ქულა (138,5მ.+145,0მ.) |
| 2. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) | 285,3 (136,5+142,0) |
| 3. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 278,9 (136,5+141,5) |
| 4. ანდრეას კუეტელი (შვეიცარია) | 271,2 (129,5+142,0) |
| 5. დმიტრი ჭასილიევი (რუსეთი) | 267,5 (132,5+142,0) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 937 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 721 |
| 3. ადამ მალიში (პოლონეთი) | 657 |
| 4. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 636 |
| 5. ანდრეას კუეტელი (შვეიცარია) | 591 |

ბობსლეი

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### სენტ მორიცი. შვეიცარია

| ქალები. ორადგილიანი | |
|---|---|
| 1. გერმანია (კრიასისი, ლოგში) | 4წთ.33,84წმ. |
| 2. გერმანია (მარტინი, ტიშერი) | 4.35,89 |
| 3. აშშ (რობოკი, ფლემინგი) | 4.36,27 |
| **კაცები. ოთხადგილიანი** | |
| 1. შვეიცარია (რიუგი, ლამპარტერი, ხეფტი, გრანტი) | 4.20,86 |
| 2. კანადა (ლიუდერსი, კოტიკი, ბისე, ბრაუნი) | 4.21,09 |
| 3. გერმანია (ლანგე, კუსკე, ჰოპე, პუტცე) | 4.21,10 |

ციგაობა

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### იგლსი. ავსტრია

| გუნდური | |
|---|---|
| 1. გერმანია (ლეატნერი, რეში, კრაუსხაარ-პილახი, მიოლერი) | 2წთ.09,159წმ. |
| 2. იტალია (ობერშტოლცი, გრუბერი, გასპარინი, ცოგელერი) | 2.09,841 |
| 3. ავსტრია (პენცი, ფიშლერი, რაიტ მაიერი, პფისტერი) | 2.09,982 |
| **კაცები. ერთადგილიანი** | |
| 1. მიოლერი (გერმანია) | 1წთ.38,052წმ. |
| 2. ცოგელერი (იტალია) | 1.38,059 |
| 3. აიხორნი (გერმანია) | 1.38,475 |
| **კაცები. ორადგილიანი** | |
| 1. ლაიტნერი, რიოში (გერმანია) | 1წთ.19,285წმ. |
| 2. პენცი, ფიშლერი (ავსტრია) | 1.19,401 |
| 3. გრიმეტი, მარტინი (აშშ) | 1.19,500 |
| **ქალები. ერთადგილიანი** | |
| 1. ჰიუფნერი (გერმანია) | 1წთ.19,808 წმ. |
| 2. ვიშნევსკი (გერმანია) | 1.19,948 |
| 3. კრაუსხაარ-პილახი (გერმანია) | 1.19,980 |



## მსოფლიოს ჩემპიონატი
### ანტჰოლც-ანტერსელვა. 3-11 თებერვალი



ოლე ეინარ ბიორნდალენი



მაგდალენა ნოინერი

# ორჯერ ოლე და მაგდალ-ერა

ნორვეგიელი ასის ოლე ეინარ ბიორნდალენისა და ნორჩი გერმანელის მაგდალენა ნოირერის ორმაგი ტრიუმფით დაიწყო გასულ უქმეებზე იტალიურ ალმხოლტც-ანტერსელვაში ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი.

ის, რომ დიადი ნორვეგიელი უპირობო ფავორიტი იყო და ძნელად, თუ რამეს დათმობდა, თავიდანვე ყველამ იცოდა და 19 წლის გერმანელის ტრიუმფი კი ნამდვილად მოულოდნელი გახლავთ. მაგდალენა რომ სწრაფი მოთხილამურე იყო, ადრევე გახლდათ ცნობილი, მაგრამ ამ ჯერზე მან საკუთარ თავსაც კი აჯობა და არც სასროლეთზე შეირცხვინა თავი. ნოირერმა შაბათის სპრინტში თვით მსოფლიოს თასის მფლობელი შვედი ანა კარინ ოლოფსონი დაჩაგრა და რაც მთავარია, სისწრაფით განთქმულ შვედს, სწორედ სწრაფი თხილამურობით აჯობა.

მაგდალენამ გუშინაც მაგრად ისრიალა, მაგრამ ამ ჯერზე ყველაფერი სროლამ გადაწყვიტა — შვედი გერმანელს მთელი დისტანცია კუდზე აჯდა, თუმცა მეტოქეზე ერთით მეტი საჯარიმო წრე დაარტყა და ამის ამოქაჩვა ველარ შეძლო. ეგ კი არა, ბოლოს ოლოფსონს ნორვეგიელმა ლინდა გრუბენმაც გაასწრო, რომელმაც გამოდევნებით რბოლა სადღაც მე-18 ადგილიდან დაიწყო, მაგრამ შაბათისგან განსხვავებით, კვირას იდეალურად ისროლა და ბოლო მეტრებზე ხუთი საჯარიმო წრისგან გადაღლილ ანა კარინს მცირედით აჯობა.

კაცებში ასეთი დრამატიზმი არ ყოფილა. მოულოდნელი გერმანელთა სრული კრახი იყო, თორემ დანარჩენი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო, ანუ ყველა დროის უდიდესმა ბიატლონისტმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა მორიგი ორი გამარჯვება მოიპოვა და ახლა მის ანგარიშზე მსოფლიოს ჩემპიონატების, უკვე რვა ოქროს მედალია.

**გია მუჯირი**

### კაცები

| სპრინტი. 10 კმ. (2 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 26 წთ.18,8 წმ. (1 აცდენა) |
| 2. მიხალ შლეზინგრი (ჩეხეთი) | +4,8 წმ. (0) |
| 3. ანდრეი დერიაპასკა (უკრაინა) | +25,8 (0) |
| 4. ბიორნ ფერი (შვედეთი) | +34,4 (1) |
| 5. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) | +39,2 (1) |
| **12,5 კმ გამოდევნებით (4 სასროლეთი)** | |
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 32. 21. 2 (2) |
| 2. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | +1.09,8 (3) |
| 3. ვინსენ დეფრანსი (საფრანგეთი) | +1.09,9 (1) |
| 4. მიხალ შლეზინგრი (ჩეხეთი) | +1.14,7 (3) |
| 5. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | +1.17,2 (3) |
| **მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა** | |
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 488 ქულა |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 432 |
| 3. ბიორნ ფერი (შვედეთი) | 421 |
| 4-5. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 399 |
| 4-5. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 399 |

### ქალები

| სპრინტი. 7,5 კმ (2 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 22 წთ.46,9 წმ. (2 აცდენა) |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | +2,3 (2) |
| 3. ნატალია გუსევა (რუსეთი) | +19,6 (1) |
| 4. ჰელენა იონსონი (შვედეთი) | +29,6 (0) |
| 5. ენ კრისტინ ფლატლანდი (ნორვეგია) | +38,7 (0) |
| **10 კმ გამოდევნებით (4 სასროლეთი)** | |
| 1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 33 წთ.01,6 წმ. (4 აცდენა) |
| 2. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | +7,1(1) |
| 3. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | +7,6 (5) |
| 4. ნატალია გუსევა (რუსეთი) | +47,8 (2) |
| 5. ტადეია ბრანკოვიჩი (სლოვენია) | +1.03,3 (2) |
| **მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა** | |
| 1. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 592ქულა |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 566 |
| 3. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 478 |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 429 |
| 5. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 388 |

## რეგულარული ჩემპიონატი

2 თებერვალი

**დეტროიტი 5:3 სენტ ლუისი**
*1:1 1:1 3:1*
1:0 ზეტერბერგი (1), 1:1 სტემპნიაკი (2), 2:1 ჰოლმსტრომი (29), 2:2 ჯონსონი (35), 3:2 ჰოლმსტრომი (48), 3:3 ტკაჩუკი (50), 4:3 დრეიპერი (54), 5:3 კლირი (60)

**კალგარი 6:2 კოლუმბუსი**
*3:0 2:2 1:0*
1:0 იგინლა (12), 2:0 რეგერი (13), 3:0 ჯორდანო (16), 4:0 ლენგკოუ (21), 4:1 კლეშლა (22), 5:1 ჰუსელიუსი (31), 5:2 ჩიმერა (37), 6:2 უორენერი (58)

3 თებერვალი

**პიტსბურგი 2:0 ვაშინგტონი**
*0:0 1:0 1:0*
1:0 პეტროვიცკი (31), 2:0 სტაალი (60)

**მონრეალი 2:4 აილენდერსი**
*1:1 1:0 0:3*
0:1 შატანი (2), 1:1 ბონკი (11), 2:1 შტრაიტი (38), 2:2 ჰანტერი (42), 2:3 ჰანტერი (52), 2:4 შატანი (54)

**კოლორადო 2:3 ედმონტონი**
*1:0 0:1 1:2*
1:0 რიჩარდსონი (13), 1:1 პეჩსკი (33), 2:1 სმითი (53), 3:1 ჰორკოფი (54), 3:2 საკიკი (60)

**სან ხოსე 4:2 ჩიკაგო**
*2:1 1:1 1:0*
1:0 გოჩი (2), 1:1 რუუტუ (10), 2:1 ბრაუნი (19), 2:2 ჰავლატი (32), 3:2 მარლო (35), 4:2 მიხალიკი (52)

**ატლანტა 2:5 ფილადელფია**
*1:1 1:0 0:4*
0:1 აფანასენკოვი (3), 1:1 კოვალჩუკი (4), 2:1 სლეიტერი (24), 2:2 განიე (42), 2:3 იორკი (43), 2:4 კარტერი (55), 2:5 ჟიტნიკი (59)

**ოტავა 2:3 ტორონტო**
*0:0 0:2 2:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 ონილი (27), 0:2 სუნდინი (35), 1:2 ალფრედსონი (45), 2:2 კომრი (49)

**ტამპა 3:2 რეინჯერსი**
*0:1 2:1 1:0*
0:1 კროგი (8), 1:1 რეინჯერი (27), 2:1 რიჩარდსი (35), 2:2 ნიულანდერი (39), 3:2 ლეკავალიე (52)

**ფინიქსი 0:1 მინესოტა**
*0:0 0:1 0:0*
0:1 გაბორიკი (21)

**ნიუ ჯერსი 3:2 ბუფალო**
*0:1 0:0 3:1*
0:1 დრური (8), 1:1 მედენი (43), 2:1 ლანგენბრუნერი (43), 3:1 პარიზე (44), 3:2 ნუმინენი (57)

**ფლორიდა 0:7 ლოს ანჯელესი**
*0:3 0:3 0:1*
0:1 კამალიერი (5), 0:2 პუშკაროვი (10), 0:3 ბრაუნი (14), 0:4 ფროლოვი (24), 0:5 ლუნდმარკი (34), 0:6 ფროლოვი (35), 0:7 კამალიერი (47)

**სენტ ლუისი 2:0 დალასი**
*1:0 0:0 1:0*
1:0 რუჩინსკი (7), 2:0 ტკაჩუკი (52)

**ნეშვილი 3:0 ანაჰაიმი**
*1:0 1:0 1:0*
1:0 ჰემიუ (5), 2:0 არნოტი (21), 3:0 არნოტი (60)

**კაროლინა 3:4 ბოსტონი**
*2:0 0:2 1:1 0:1 (ოვერტაიმი)*
1:0 კოული (4), 2:0 კოული (19), 2:1 მიურეი (21), 2:2 ბოიესი (40), 2:3 მიურეი (47), 3:3 ბრინდამორი (57), 3:4 ჩარა (62)

**კალგარი 4:3 ვანკუვერი**
*0:2 2:0 2:1*
0:1 ჰ. სედინი (14), 0:2 დ. სედინი (18), 1:2 ლენგკოუ (24), 2:2 ტანგუე (33), 3:2 რიჩი (49), 4:2 ჰუსელიუსი (57), 4:3 პაატი (59)



## იანვრის ჰიტი: დენი ჰიტლი

**გასული თვის** საუკეთესო მოთამაშედ ოტაველი „სენატორების“ ცენტრი დენი ჰიტლი დასახელდა, ხოლო მეორე და მესამე ვარსკვლავებად პიტსბურგელი „პინგვინების“ თინეიჯერი ლიდერი სიდნი კროსბი და „ვანკურვერ კენაქსის“ მეკარე რობერტო ლუონგო აღიარეს.

ჰიტლიმ იანვარში 13 მატჩში 11 გოლი და ამდენივე საგოლე პასი მიითვალა და ლომის წილი დაიდო „სენატორების“ წარმატებულ თამაშში. კროსბის ანგარიშზე ერთით ნაკლები — 21(8+13) ქულაა, ოღონდ 12 შეხვედრაში და რაც მთავარია, „პატარა სიდი“ კვლავაც დამაჯერებლად ლიდერობს სეზონის ბომბარდირთა სიას და თავის გუნდს პლეი-ოფისკენ მიაქანებს. პლეი-ოფისკენ მძლავრად გაიწია „ვანკუვერმა“ და ეს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ რობერტო ლუონგოს დამსახურებაა, ვინაც გასულ თვეში არაერთხელ გააწბილა მეტოქეთა შემტევები და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი ქულები მოუპოვა.

თვის ახელბედა კი სან ხოსელი რაიან კლოუა. გასულ თვეში 25 წლის დებიუტანტმა 16(9+7) ქულა მოაგროვა და „კოლუმბიასთან„ მატჩში, სულაც კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა.



## მარტინა, იაპონიის მარკიზა



AFP ფოტოდან

ვინა [illegible] ზრდილ და ბლომად ნათესავებ-მეგობრების წინაშე მოთამაშე ნიკოლას მასუს ცუდად გარჯის უფლება არ ჰქონდა — მართალია, რაც ამ ჩილელმა ათენის ოლიმპიური ოქრო მოიგო, ღირებული ალარაფერი გაუკეთებია, მაგრამ თავისიანების თვალწინ ყოველთვის მოწადინებულია. გამონაკლისი მასუმ არც წლეულს დაუშვა და ფინალში გასვლით შარშანდელი მიღწევა გაიმეორა. საამისოდ მასუს ალბერტ მონტანიესის დამარცხება მოუწია, რაც იოლი სულაც არ გახლდათ, რადგანაც ამ ესპანელმა მანამდე ჯეროვნობით წლის უმთავრესი სენსაცია და ერთი კვირის წინ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ნათამაშები ფერნანდო გონსალესი დასცა.

მასუს საზრუნავი ახლა ისაა, რომ შარშანდელი არ გაიმეოროს — ერთი წლის წინ სეტიც ვერ აართვა ხოსე აკასუსოს. წესით, წლეულს ჩილელს ჩანაფიქრი უნდა აუსრულდეს, რადგანაც ფინალში გაცილებით სუსტი მეტოქე ხვდება პერუელი ლუის ჰორნას სახით, რომელმაც გუშინ არგენტინელ არგუელოს ორ სეტში გამოუყვანა წირვა.

**ქალები**
ტოკიო. იაპონია. ხალიჩა (დარბაზი). საპრიზო 1 340 000 $

**ნახევარფინალი**
**ანა ივანოვიჩი** (5, სერბეთი) — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) 6:1 1:0 (უარი); **მარტინა ჰინგისი** (2, შვეიცარია) — ელენა დემენტიევა (3, რუსეთი) 6:4 6:3

**ფინალი**
**ჰინგისი** — ივანოვიჩი 6:4 6:2

მარტინა ჰინგისი წლეულს ტოკიოში შურის საძიებლად ჩასულა — შვეიცარიელმა ქალბატონმა ნამდვილი ვენდეტა მოაწყო. საქმე იმაშია, რომ შარშან სამწლიანი შესვენების შემდეგ ჩოგბურთში მობრუნებულმა ალპელმა ყველაზე დიდი იმედგაცრუებები სწორედ იაპონიის დედაქალაქში და მოგვიანებით ტორონტოში განიცადა — სწორედ ამ ორ ქალაქში წააგო ფინალები, ჯერ ელენა დემენტიევასთან, შემდეგ კი ანა ივანოვიჩთან.

ჰოდა, გასულ სამ დღეში ჰინგისმა ერთბაშად ორივეზე იძია შური — რუსი ნახევარფინალში, სერბი კი ფინალში გაანადგურა. მარტინამ დემენტიევას მხოლოდ შვიდი, ივანოვიჩს კი ექვსი გეიმი დაუთმო და წლეულს პირველი ტიტული მოიგო. სულ კი შვეიცარიელს იაპონიის დედაქალაში ხუთჯერ უმარჯვია, რაც ერთგვარი რეკორდი გახლავთ.

**კაცები**
ზაგრები. ხორვატია. ხალიჩა (დარბაზი) საპრიზო 353 450 €

**ნახევარფინალი**
**ივან ლიუბიჩიჩი** (1, ხორვატია) — მიხაილ იუჟნი (4, რუსეთი) 2:6 6:3 7:5; **მარკოს ბაღდატისი** (2, კვიპროსი) — ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:4 6:3

ზაგრების ტურნირი ავსტრალიაში იმედგაცრუებულთა რენომეს აღდგენის ასპარეზად იქცა. ფინალში ერთმანეთს მელბურნ-პარკის კორტებზე შერცხვენილი ჩოგბურთელები — პირველ წრეში გაგდებული ივან ლიუბიჩიჩი და შარშანდელი ფინალისტი, მაგრამ ახლა ნაადრევად აბარგებული მარკოს ბაღდატისი დაეტაკებიან.

ფინალამდე გზა ხორვატს გაცილებით ეკლიანი გამოუვიდა — მას არც მანამდე ულხინდა, რადგანაც მეოთხედფინალში ტომას იოჰანსონიც ტოლ-სწორად ეომა, მაგრამ მიხაილ იუჟნიმ მაინც ნამდვილი ჯახი გაუმართა და რუსი ოდნავ უფრო ფაქიზად რომ მოჰკიდებოდა თავის შანსებს, ტურნირის მოქმედი ჩემპიონი და მასპინძელთა ფავორიტი ეგებ გაეგდო კიდეც. ამის შანსი იუჟნის გადამწყვეტი სეტის მიწურულს მიეცა, როცა ორი მატჩპოინტი ჰქონდა, თუმც ქარს გაატანა. ლიუბიჩიჩმა კი ზედიზედ ათი გათამაშება მოიგო და ახლა საკარიერო მეცხრე ტიტულს უმიზნებს.

ბაღდატისს კი შეიძლება მთლად ია-ვარდით მოფენილი არ ჰქონია საფინალო გზა, მაგრამ სერიოზული პრობლემა ერთხელაც არ შექმნია. ტურნირის გადამწყვეტ მატჩში თამაში კი კვიპროსელმა ალექსანდერ პეიას განადგურებით გაინაღდა — ავსტრიელი კარიერაში პირველად მივიდა ნახევარფინალამდე და იქ უკვე ნერვები აღარ ეყო, თორემ ეგრე უკბილოდ არ უნდა წაეგო.

**ფინალი**
**ბაღდატისი** — ლიუბიჩიჩი 7:6 4:6 6:4

**კაცები**
დელრეი ბიჩი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 416 000 $

**ნახევარფინალი**
**ჯეიმს ბლეიკი** (1, აშშ) — ბენჯამინ ბეკერი (4, გერმანია) 6:3 7:6; **ქსავიე მალისი** (3, ბელგია) — ვინსენტ სპადეა (8, აშშ) 6:2 6:2

ქსავიე მალისი ყოველთვის ისე რომ თამაშობდეს, როგორც დელრეი ბიჩში, მაშინ მთლად როჯერ ფედერერის ადგილას ვერა, მაგრამ ტოპათეულის უცვლელი წევრი ნაღდად იქნებოდა. ასე განსაჯეთ, თითქმის არაფრით გამორჩეული და საშუალოზე საშუალო ბელგიელი ამ ამერიკულ კურორტზე უკვე ზედიზედ მესამე და სულ მეხუთე ფინალში ითამაშებს.

საამისოდ ბელგიელმა შარშანდელი ნახევარფინალის გამეორებაში კიდევ ერთხელ დასცა მასპინძელი ვინსენტ სპადეა და ახლა კიდევ ერთ იანკისთან, ოღონდ შავტუხა და გაცილებით მაღალი დონის მეჩოგნე ჯეიმს ბლეიკთან მოუწევს ურთიერთობების გარკვევა. ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ მძიმე ბრძოლაში ცაცია და მოეისე ბენჯამინ ბეკერის წაქცევა შეძლო.

**კაცები**
ვინა დელ მარი. ჩილე. თიხნარი საპრიზო 448 000 $

**ნახევარფინალი**
**ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 6:1 6:3; **ლუის ჰორნა** (5, პერუ) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 7:5 6:4

**ბაჩა ლომაშვილი**



## დეფარმა, დიბაბაზე ნაკლებისო...



მესერეტ დეფარი

**ერთი კვირის** წინათ ეთიოპიელმა ტირუნეშ დიბაბამ ჭერქვეშა არენებისთვის 5 000 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და თან ბრძანა, ჩემი თანამემამულე მესერეტ დეფარი აქ რომ ყოფილიყო, უფრო სწრაფად ვირბენდიო.

გავიდა ერთი კვირა და გერმანულ შტუგარტში, უკვე დეფარის ჯერი დადგა, ოღონდაც 3 000 მეტრიან დისტანციაზე. მესერეტმა სამი კილომეტრი 8 წუთსა და 23,72 წამში გაირბინა და რუსი ლილია შოლოხოვას მიერ შარშან 17 თებერვალს მოსკოვში დამყარებულ რეკორდს 4,14 წამი ჩამოაკლო.

ახლა საინტერესო ისღაა, როდის შეიყრება ეს ორი ეთიოპიელი დიაცი ერთად — ცალ-ცალკე რომ ასე დარიბან, ერთად ხომ სულ გაუტევენ...

# მსოფლიოს XX ჩემპიონატი

აქაები. გერმანია. 19 იანვარი – 4 თებერვალი

## გერმანია მსოფლიოს ჩემპიონია



AFP კოლექციიდან

### ფინალი

**გერმანია 29:24 (17:13) პოლონეთი**

კიოლნის „არენა“. 19 000 მაყურებელი

გერმანია: ფრიცი, ბიტერი, იენსენი (გაიტანა 8 გოლი), ჰანსი (6), კრაუსი (4), კერმანი (4), ზეიცი (3), გლენდორფი (2), კლიმოვიჩი (1), შვარცერი (1), როგიში, კლაინი, ბაური, კაუფმანი

მწვრთნელი: ჰაინერ ბრანდი

პოლონეთი: შმალი, ვეინერი, ტკაჩუკი (5), იურასიკი (5), ბელეცკი (3), ტლუჩინსკი (2), ბარტოშ იურეცკი (2), მიხალ იურეცკი (1), კუპტელი (1), ვლეკლაკი (1), შიდმიაკი (1), იაპლევსკი (1), კრიშტოფ ლიჟევსკი (1), მარტინ ლიჟევსკი (1)

მწვრთნელი: დანიელ ვაშკევიჩი

### მესამე ადგილისთვის

**დანია 34:27 (13:12) საფრანგეთი**

დანია: ჰვიდტი, ჰენრიკსენი, კრისტიანსენი (9), ლეეგარდი (5), კნუდსენი (4), ნოდესბო (4), მადსენი (3), სტრაიგერი (3), ოეშლერი (2), ბოლდსენი (2), იენსენი (1), იორგენსენი (1), ლინდბერგი

საფრანგეთი: ომეიერი, პლოქუი, გიგუ (6), ფერნანდესი (6), ნარცისი (5), კარაბატიჩი (5), ბერტრან ჟილი (2), კემპი (1), აბატი (1), აბალო (1), გიომ ჟილი, ჟირე, დინარი



# სერ ფრენკის იაპონური იმედი

სერ ფრენკ უილიამსის გუნდისთვის შარშანდელი სეზონი გამორჩეულად უხეირო გამოდგა. „სამეფო რბოლების“ ერთ-ერთი ელიტარული საჯინიბო, რომელმაც ბოლო 27 წელიწადში ცხრაჯერ დაისაკუთრა კონსტრუქტორთა თასი, მისთვის ზესამარცხვინო მერვე ადგილამდე აქამდე არასდროს ჩამოქვეითებულა. მანამდე „უილიამსის“ უარესი შედეგი გუნდური მეხუთე პოზიცია იყო.

ამგვარი ჩავარდნის უმთავრეს მიზეზად „ფორდ-კოსუორტის“ ძრავები ჩაითვალა, რომელთაც თავიდან ჯანი და სისწრაფე არ აკლდათ, მაგრამ მერე და მერე საიმედოობის პრობლემებმა გუნდი პრაქტიკულად კატასტროფამდე მიიყვანა. შედეგად, 18 რბოლაში არც ერთი პოდიუმი და სულ რაღაც 11 ქულა.

სერ ფრენკმა და „კომპანიამ“ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაივიწყოს ეს კოშმარი და ახალ ცხოვრებაზე იფიქროს. მთავარი საიმედო ნაბიჯი უკვე გადაიდგა — დამდეგ სეზონში „უილიამსის“ ბოლიდები იაპონური „ტოიოტას“ ძრავებით იქროლებენ. კონსტრუქტორებმა ჩანაცვლებული დეტალებიც მნიშვნელოვნად შეცვალეს.

ერთი სიტყვით, გასულ წელთან შედარებით პროგრესი კი იგრძნობა, თუმცა გროუვში, ბრიტანული საჯინიბოს ბაზაზე ახალი FW29-ისა და ახალი მთავარი სპონსორების წარდგენისას 64 წლის უილიამსი ფრთხილობდა, მართალია, ამ ზამთარს ძალისხმევა გავაორმაგეთ და გარკვეულ წარმატებასაც მივაღწიეთ, მაგრამ მაინც ჯობს, სამომავლო შანსი მოკრძალებულად შევაფასოთ, ვიდრე გადაჭარბებულადო.

„რკინის ფრენკის“ ახალი ბოლიდებით ირბოლებენ 21 წლის ფინელ-გერმანელი ნიკო როსბერგი, რომელმაც ოთხქულიანი „მინაგარის“ მიუხედავად, ადგილი შეინარჩუნა და გუნდის 32 წლის მეტესტე ალექსანდრ ვურცი. ავსტრიელმა მძღოლმა „უილიამსიდან“ მოხსნილი ავსტრალიელი მარკ ვებერი შეცვალა. აღსანიშნავია, რომ ვურცი ექვსი სათადარიგო სეზონის შემდეგ უბრუნდება ძირითად შემადგენლობას.

**გია ახალაძე**



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 27 | სკანთორპი-ბრისტოლი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 505 | ოლდემი-ბლეკპული | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 23:45 | 506 | პორტ ვეილ-ნორთჰემპტონი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 23:45 | 507 | როტერჰემი-სუონსი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 508 | როვერსი-დარლინგტონი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 52 | ალდერშოტი-გრეისი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 23:45 | 53 | სტ.ალბანსი-მორკემბი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 102 | მიუნხენი 1860-ბურგჰაუზენი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 207 | გენგამი-სტრასბური | 2.75 | 2.80 | 2.50 | 1.38 | 1.30 | 1.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 306 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 23:45 | 307 | ავსტრალია-დანია ნ | 2.85 | 3.10 | 2.40 | 1.48 | 1.30 | 1.35 |
| 23:45 | 308 | საბერძნეთი-სამხრეთ კორეა ნ | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 490 | ლატვია-ბულგარეთი ნ | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 21:00 | 491 | კვიპროსი-უნგრეთი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 23:45 | 493 | განა-ნიგერია ნ | 2.85 | 3.10 | 2.30 | 1.48 | 1.27 | 1.32 |
| 23:45 | 494 | ბრაზილია-პორტუგალია ნ | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| | | 7 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 310 | ეგვიპტე-შვედეთი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 19:00 | 311 | მალტა-ავსტრია | 7.30 | 4.00 | 1.40 | 2.58 | 1.17 | 1.03 |
| 22:00 | 312 | გერმანია-შვეიცარია | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:45 | 313 | ბელგია-ჩეხეთი | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| 23:45 | 314 | ინგლისი-ესპანეთი | 2.10 | 3.10 | 3.40 | 1.25 | 1.29 | 1.62 |
| 23:45 | 315 | ჰოლანდია-რუსეთი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:45 | 316 | საფრანგეთი-არგენტინა | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 20:30 | 496 | ისრაელი-უკრაინა | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 23:00 | 499 | ხორვატია-ნორვეგია | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 23:30 | 501 | პოლონეთი-სლოვაკეთი ნ | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 503 | აშშ-მექსიკა | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| | | ჰოკეი.NHL | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 362 | რეინჯერსი-დეტროიტი | 2.35 | 4.00 | 2.20 | 1.48 | 1.13 | 1.41 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 363 | ატლანტა-ბუფალო | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 23:45 | 364 | კოლამბუსი-ფლაიერსი | 2.10 | 4.20 | 2.40 | 1.39 | 1.12 | 1.52 |
| 23:45 | 365 | ვაშინგტონი-ბოსტონი | 2.00 | 4.10 | 2.55 | 1.34 | 1.12 | 1.57 |
| 23:45 | 366 | მონრეალი-კაროლინა | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| 23:45 | 367 | პიტსბურგი-ნეშვილი | 2.25 | 4.00 | 2.30 | 1.44 | 1.13 | 1.46 |
| 23:45 | 368 | ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 2.00 | 4.10 | 2.45 | 1.34 | 1.10 | 1.53 |
| 23:45 | 369 | ტამპა ბეი-ლოს ანჯელესი | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 23:45 | 370 | სტ.ლუისი-ტორონტო | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| 23:45 | 371 | დალასი-მინესოტა | 2.00 | 4.10 | 2.50 | 1.34 | 1.11 | 1.55 |
| 23:45 | 372 | კალგარი-ჩიკაგო | 1.80 | 4.20 | 2.90 | 1.25 | 1.11 | 1.71 |
| 23:45 | 373 | კოლორადო-ფლორიდა | 1.90 | 4.20 | 2.70 | 1.30 | 1.11 | 1.64 |
| 23:45 | 374 | ედმონტონი-ვანკუვერი | 2.10 | 4.20 | 2.45 | 1.39 | 1.13 | 1.54 |
| 23:45 | 375 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| | | კალათბურთი. NBA | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 430 | ატლანტა-ლეიკერსი | 2.30 | 12.00 | 1.60 | 1.93 | 1.00 | 1.41 |
| 23:45 | 431 | ინდიანა-გოლდენ სტეიტი | 1.45 | 12.00 | 2.60 | 1.29 | 1.00 | 2.13 |
| 23:45 | 432 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 2.10 | 12.00 | 1.70 | 1.78 | 1.00 | 1.48 |
| 23:45 | 433 | ვაშინგტონი-სიეტლი | 1.30 | 12.00 | 3.40 | 1.17 | 1.00 | 2.64 |
| 23:45 | 434 | მაიამი-შარლოტი | 1.25 | 12.00 | 3.65 | 1.13 | 1.00 | 2.79 |
| 23:45 | 435 | პორტლენდი-მინესოტა | 1.30 | 12.00 | 3.50 | 1.17 | 1.00 | 2.70 |
| 23:45 | 436 | იუტა-ჩიკაგო | 1.60 | 12.00 | 2.35 | 1.41 | 1.00 | 1.96 |
| 23:45 | 437 | საკრამენტო-ნიუ ორლეანი | 1.40 | 12.00 | 3.00 | 1.25 | 1.00 | 2.40 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXVI ტური

**ტოტენჰემი 0:4 მანჩესტერი**

0:1 რონალდუ (45პ), 0:2 ვიდიჩი (48), 0:3 სქოულზი (54), 0:4 გიგზი (77)
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, გარდნერი, ჰადლსტოუნი, ი. ლი, ლენონი, მალბრანკი, ზოკორა (ჯანი 56), ბერბატოვი, დეფო (კინი 56)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ (პარკი 68), სქოულზი, კარიკი, გიგზი (ოში 80), რუნი (საა 64), ლარსონი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ვიდიჩი, რუნი, ჩიმბონდა, ლარსონი, კინი
მსაჯი: კლატენბურგი
36 146 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:1 ჩელსი**

0:1 ლამპარდი (18)
ჩარლტონი: კარსონი, სანკოფა, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, ტეტჩერი, რომედალი (ჰასელბაინკი 46), ფეიე, ჰოლანდი (ლისბი 78), ჰიუზი, ტომა (დიავარა 88), მ. ბენტი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
ჩელსი: ჩეხი, ლ. დიარა, ესიენი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, მიკელი (შ. რაიტ-ფილიპსი 75), მაკელელე (ტერი 88), ლამპარდი, ბალაკი, დროგბა, შევჩენკო (ს. კალუ 75)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: დიარა
მსაჯი: ჰალსი
27 111 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 ევერტონი**

ლივერპული: ხ. რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი, ხაბი ალონსო, ჯერარდი, ბელამი (ფაულერი 85), კუიტი, კრაუჩი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, კარსლი, ფ. ნევილი, ტ. კეჰილი, არტეტა, ოსმანი, ე. ჯონსონი (ანიჩებე 80)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ოსმანი, ნევილი, არტეტა
მსაჯი: ვაილი
44 234 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 არსენალი**

1:0 აიეგბენი (63პ), 1:1 ანრი (77)
მიდლსბრო: ჯოუნსი, შავიერი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კეტერმოლი (მორისონი 46), ბოატენგი, არკა, დაუნინგი, ვიდუკა (კრისტი 90), აიეგბენი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
არსენალი: ლემანი, ჰოიტი (დენილსონი 80), ტურე, სენდეროსი, კლიში, ფლამინი, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, როსიცკი, ანრი, ადებაიორი (ალიადიერი 86)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ვიდუკა, არკა, ლემანი
გაძევება: სენდეროსი (62)
მსაჯი: რაილი
31 122 მაყურებელი

**უოტფორდი 0:1 ბოლტონი**

0:1 ანელკა (63)
უოტფორდი: ფოსტერი, მარიაპა, დე მერიტი, მაკეი, სტიუარტი, უილიამსონი (უილიამსი 46), მაჰოუნი, ფრენსისი (კაბა 77), ბუაზა (მაკნამი 68), ჰენდერსონი, ჰოსკინსი
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ფეიე, ბენ ჰაიმი, ნოლანი, კამპო, სპიდი, დიუფი (პედერსენი 80), იანაკოპულოსი (თეიმურიანი 50), ანელკა
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ფეიე, თეიმურიანი, იასკელაინენი
მსაჯი: სტაილზი
18 722 მაყურებელი

**ფულემი 2:1 ნიუკასლი**

1:0 ჰელგუსონი (49), 2:0 მაკბრაიდი (73), 2:1 მარტინსი (90)
ფულემი: ლაშტუვკა, როსენიორი, კრისტენვალი, ბოკანეგრა, კედრუ, რუტლეჯი (დემპსი 78), მ. ბრაუნი, ვოლცი (დიოპი 67), დევისი, ჰელგუსონი, მაკბრაიდი (მონტელა 80)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ნიუკასლი: ჰარპერი, კარი, ბრამბლი, ონიევუ, ტეილორი, მილნერი, პარკერი, ბათი, დაფი (სიბიერსკი 68), დაიერი (სოლანო 85), მარტინსი
მწვრთნელი: გლენ როდერი
გაფრთხილება: ბოკანეგრა, ბათი, ბრამბლი, მილნერი
მსაჯი: დოუდი
24 340 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:2 რედინგი**

0:1, 0:2 ლიტა (79, 89)
მანჩესტერ სიტი: ვივერი (ისაკსონი 35), რიჩარდსი, დანი, დისტინი, ტრაბელსი, ბისლი, დაბო (ჰამანი 48), ბარტონი, აირლენდი, სამარასი (სტარიჯი 74), ვასელი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
რედინგი: ჰანემანი, მარტი, შორი, ბიკეი, ინგიმარსონი, ჰარპერი, სიდუელი, ლიტლი (ოსტერი 80), ჰანტი, ლიტა, ლონგი (კიტსონი 75)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
მსაჯი: ვები
38 676 მაყურებელი

**ბლექბერნი 2:1 შეფილდი**

1:0 პედერსენი (22), 1:1 სტიდი (25), 2:1 პედერსენი (90)
ბლექბერნი: ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, მოკოენა (დანი 60), თუგაი (ნონდა 87), პედერსენი, დერბიშირი (რობერტსი 17), მაკკარტი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
შეფილდი: კენი, გირი, იაგიელკა, ლუკეტი, კოზლუკი, ტონგე, მონტგომერი, არმსტრონგი, ს. ქუინი, სტიდი, ჰალსი
მწვრთნელი: ნილ უორნოკი
გაფრთხილება: უორნოკი, არმსტრონგი, გირი, ტონგე, სტიდი, უორნოკი
გაძევება: უორნოკი (88)
მსაჯი: მარინერი
20 917 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 კარეუ (36)
ასტონ ვილა: სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, გ. კეჰილი, ბუმა, პეტროვი, მაკკანი, ბერი, აგბონლაჰორი, კარეუ (ბერგერი 73), იანგი (რიდგუელი 90)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ვესტ ჰემი: კეროლი, სპექტორი, დევენპორტი, აშტონი (დეილი 30), მაკკარტნი, ბენაიუნი, რეო-კოკერი, ქვოში, ბოა მორტე (ეზერინგტონი 61), ზამორა, ბლანკო (ჰარვუდი 60)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: რეო-კოკერი
მსაჯი: ფოი
41 202 მაყურებელი

**უიგანი 1:0 პორტსმუთი**

1:0 მაკკალოხი (68)
უიგანი: კირკლანდი, ს. ტეილორი, ჯექსონი, ბოისი, ანსუორთი, ვალენსია (ჰალი 61), ლანძაატი, სკოკო, მაკკალოხი, ფოლანი, აგაჰოვა (იოჰანსონი 85)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, კემპბელი, პრიმუსი, პამარო (მ. ტეილორი 74), ლორენი (ლუა ლუა 52), პ. მენდეში, ჰიუზი, დუალა, კანუ (ენდი კოული 71), მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ს. ტეილორი
მსაჯი: პოლი
15 093 მაყურებელი

# რაფა ბენიტესის ცუდი ევერ-ტონი



„მამლების“ კარში პოლ სქოულზმაც შეიარა

„ჯონ ტერის დაბრუნება ახალ სულს შთაბერავს ჩვენს გუნდს. ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრძელდება“ — თქვა ჟოზე მაურინიუმ მას შემდეგ, რაც „ჩელსიმ“ „ჩარლტონი“ დაამარცხა ფრენკ ლამპარდის ლამაზი გოლით, თამაშის 88-ე წუთზე კი მოშუშებული კაპიტანი ჯონ ტერი დაბრუნდა.

„ჩელსის“ ეკუთვნოდა ეს 3 ქულა, ლამპარდს კი მერვე თამაშში მერვე გოლი გამოუვიდა.

საჩემპიონო თამაში აჩვენა „მანჩესტერ იუნაიტედმა“. კრიშტიანუ რონალდუ, ნემანია ვიდიჩი, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი — აი, ამათი გოლებით დაარბია „მანიუმ“ „ტოტენჰემი“, რომელიც მიმდინარე სეზონში შინ ძალიან ყოჩაღად თამაშობს ხოლმე, ოღონდ ასე იყო გუშინდლამდე.. გუშინ კი სერ ალექს ფერგიუსონის ბიჭებმა მეტოქეს გადაურბინეს და პრემიერლიგას კვლავაც ექვსქულიანი უპირატესობით ლიდერობს...

შაბათს დიდი ამბავი იყო „ენფილდზე“, სადაც მერსისაიდულ დერბიში „ლივერპულმა“ ძვრა ვერ უყო „ევერტონს“ და მასთან უგოლოდ გაყრილმა ცხრილში მხოლოდ ქულა შეიმატა. შემოდგომაზე „ევერტონმა“ 3:0 მოუგო „ლივერპულს“ და ახლაც მშვენივრად ითამაშა. ამის მიუხედავად, რაფა ბენიტესმა მეტოქეს პატარა გუნდი უწოდა, ზოგჯერ ასეთებთან თამაში ძნელიაო. საკუთრივ თამაში კი მძიმე და ხისტი იყო.

ათკაციანი „არსენალი“ კი ახლო იყო იმასთან, რომ ცხრა თამაშის თავზე პირველად წაეგო, მაგრამ გუნდი ტიერი ანრიმ იხსნა. თამაში მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც ფილიპ სენდეროსმა საჯარიმოში იაკუბუ მოცელა და ამანვე პენალტი გაიტანა. ანრიმ კი თამაშის დასრულებამდე 13 წუთით ადრე სწრაფი კონტრშეტევისას გაათანაბრა.

არსენ ვენგერმა მატჩის ბედის სიმწირეზე დაიჩივლა: „თერთმეტნი რომ ვყოფილიყავით, აუცილებლად მოვიგებდით“.

ამასობაში კი იონ კარეუს ბრწყინვალე გოლმა „ასტონ ვილას“ „ვესტ ჰემი“ დაამარცხებინა: ლონდონელები ახლა ხუთი ქულით დაბლა არიან, ვიდრე გავარდნას მორიდებული გუნდები. ასევე „ფულემმა“ რვა თამაშის თავზე პირველად მოიგო, უნიათო „ნიუკასლს“ ორჯერ გაუტანა და „კრეივენ კოტეჯს“ გამარჯვების გემო დაუბრუნა.

ლეროი ლიტას დუბლმა „სიტი ოვ მანჩესტერის“ სტადიონზე ექვსეულში აისროლა პატარა „რედინგი“, სტიუარტ პირსმა კი აქო, არ მეგონა, ამდენი თუ შეეძლო. პირსი 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელიცაა და ლიტა უკვე შეკრებაზე გამოიძახა.

მორტენ გამსტ პეტერსენის საუცხოო საჯარიმო დარტყმამ კი „ბლექბერნს“ „შეფილდი“ დაამარცხებინა თამაშის ბოლო წუთზე. მანამდე გამსტმა ანგარიშიც გახსნა, მაგრამ იგი ყოფილმა ბლექბერნელმა ჯონ სტიდმა გაქვითა.

„ბოლტონმა“ ნიკოლა ანელკას გოლით სძლია „უოტფორდს“ და 2007 წელს პირველი გამარჯვება ჩაიწერა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დროგბა (ჩელსი) | 15 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 15 |
| ვან პერსი (არსენალი) | 11 |
| აიეგბენი (მიდლსბრო) | 11 |





რაფაელ ბენიტესმა დევიდ მოიესს ალმაცერად გახედა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 26 | 20 | 3 | 3 | 61:18 | 63 |
| ჩელსი | 26 | 17 | 6 | 3 | 45:19 | 57 |
| ლივერპული | 26 | 15 | 5 | 6 | 39:17 | 50 |
| არსენალი | 25 | 13 | 7 | 5 | 46:21 | 46 |
| ბოლტონი | 26 | 13 | 5 | 8 | 30:27 | 44 |
| რედინგი | 26 | 12 | 4 | 10 | 39:34 | 40 |
| პორტსმუთი | 26 | 10 | 8 | 8 | 34:25 | 38 |
| ევერტონი | 25 | 9 | 9 | 7 | 31:23 | 36 |
| ბლექბერნი | 26 | 10 | 4 | 12 | 30:37 | 34 |
| ნიუკასლი | 26 | 9 | 6 | 11 | 32:35 | 33 |
| ტოტენჰემი | 25 | 9 | 6 | 10 | 29:36 | 33 |
| მიდლსბრო | 26 | 8 | 8 | 10 | 30:30 | 32 |
| ასტონ ვილა | 26 | 7 | 11 | 8 | 28:31 | 32 |
| ფულემი | 26 | 7 | 11 | 8 | 28:39 | 32 |
| სიტი | 25 | 8 | 6 | 11 | 19:30 | 30 |
| შეფილდი | 26 | 7 | 6 | 13 | 22:35 | 27 |
| უიგანი | 25 | 7 | 4 | 14 | 26:41 | 25 |
| ვესტ ჰემი | 26 | 5 | 5 | 16 | 18:41 | 20 |
| ჩარლტონი | 26 | 5 | 5 | 16 | 20:45 | 20 |
| უოტფორდი | 25 | 2 | 9 | 14 | 14:37 | 15 |

**XXVII ტური**

10-11 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| რედინგი | : | ასტონ ვილა |
| შეფილდი | : | ტოტენჰემი |
| ვესტ ჰემი | : | უოტფორდი |
| არსენალი | : | უიგანი |
| ბოლტონი | : | ფულემი |
| ჩელსი | : | მიდლსბრო |
| ევერტონი | : | ბლექბერნი |
| მანჩესტერი | : | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | : | ლივერპული |
| პორტსმუთი | : | სიტი |

### ჩემპიონატი
**XXXI ტური**

კარდიფი — ბარნსლი 2:0; კოლჩესტერი — ბირმინგემი 1:1; კრ. პალასი — იფსვიჩი 2:0; ჰალი — ვესტ ბრომვიჩი 0:1; ლესტერი — ლუთონი 1:1; ნორვიჩი — ლიდსი 2:1; ქუინზ პარკი — ბარნლი 3:1; უენსდი — პრესტონი 1:3; საუთჰემპტონი — დერბი 0:1; სტოკი — საუთენდი 1:1; სანდერლენდი — ქოვენთრი 2:0; ვულვზი — პლიმუთი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დერბი | 31 | 19 | 5 | 7 | 40:28 | 62 |
| პრესტონი | 31 | 16 | 8 | 7 | 47:32 | 56 |
| ვესტ ბრომვიჩი | 31 | 16 | 7 | 8 | 57:36 | 55 |
| ბირმინგემი | 29 | 16 | 6 | 7 | 48:30 | 54 |
| საუთჰემპტონი | 31 | 14 | 10 | 7 | 48:34 | 52 |
| კარდიფი | 31 | 14 | 10 | 7 | 43:32 | 52 |
| სანდერლენდი | 31 | 15 | 5 | 11 | 43:34 | 50 |
| სტოკი | 31 | 13 | 10 | 8 | 40:26 | 49 |
| კოლჩესტერი | 31 | 14 | 6 | 11 | 50:35 | 48 |
| ვულვზი | 31 | 13 | 8 | 10 | 33:34 | 47 |
| პლიმუთი | 31 | 10 | 13 | 8 | 42:41 | 43 |
| კრ. პალასი | 31 | 11 | 9 | 11 | 38:35 | 42 |
| უენსდი | 31 | 11 | 7 | 13 | 42:47 | 40 |
| იფსვიჩი | 31 | 11 | 6 | 14 | 40:42 | 39 |
| ბარნლი | 30 | 10 | 8 | 12 | 33:33 | 38 |
| ნორვიჩი | 30 | 10 | 7 | 13 | 37:47 | 37 |
| ქოვენთრი | 31 | 11 | 4 | 16 | 30:40 | 37 |
| ლესტერი | 30 | 8 | 10 | 12 | 30:38 | 34 |
| ქუინზ პარკი | 31 | 9 | 6 | 16 | 38:48 | 33 |
| ლუთონი | 31 | 8 | 8 | 15 | 38:52 | 32 |
| ბარნსლი | 31 | 9 | 5 | 17 | 33:50 | 32 |
| ჰალი | 31 | 8 | 7 | 16 | 31:43 | 31 |
| საუთენდი | 31 | 6 | 10 | 15 | 27:48 | 28 |
| ლიდსი | 30 | 8 | 3 | 19 | 32:55 | 27 |

### პირველი ლიგა
**XXXI ტური**

ბლეკპული — ბრენტფორდი 1:3; ბრედფორდი — ნოტინგემი 2:2; ბრაიტონი — როტერჰემი 0:0; ჩელტენემი — სუონსი 2:1; ჩესტერფილდი — ბორნმუთი 0:1; დონკასტერი — კარლაილი 1:2; ჰადერსფილდი — ჯილინგემი 3:1; ლეიტონი — პორტ ვეილი 2:1; ნორთჰემპტონი — კრიუ 1:2; ოლდემი — ტრანმერი 1:0; იოვილი — მილუოლი 0:1 სკანთორპი — ბრისტოლი დღეს გაიმართება

### მეორე ლიგა
**XXXI ტური**

აკრინგტონი — ჩესტერი 0:1; ბოსტონი — გრიმსბი 0:6; როვერსი — პიტერბორო 3:2; ბერი — დონსი 0:2; ჰერეფორდი — სტოკპორტი 0:2; მაკლსფილდი — დარლინგტონი 1:1; მენსფილდი — შრიუსბერი 1:1; ნოტსი — ლინკოლნი 3:1; სუინდონი — ჰარტლპული 0:1; ტორკი — ბარნეტი 1:1; უოლსოლი — როჩდეილი 1:1; რექსემი — უიკომბი 0:2

### კონფერენსლიგა
**XXXI ტური**

ქროული — ფორესტ გრინი 3:1; ოქსფორდი — კემბრიჯი 1:1; სოთპორტი — ალტრინჩემი 2:1; სტაფორდი — ექსეტერი 0:1; ვეიმუთი — ბარტონი 1:1; იორკი — ტემუორთი 0:2. ნორსვიჩი — სტივენეიჯი და უოქინგი — გრეივსენდი გადაიდო














**იტალია**

**სერია A. XXII ტური**

# ტირილი სიცილიაზე

## რამდენ დღეში გვავიწყდება დაღუპული ადამიანი?



იტალიაში ტური ჩაიშალა, რადგან პარასკევს სიცილიური დერბი „კატანიასა“ და „პალერმოს“ შორის ტრაგედიით დასრულდა — იმას, რასაც ოფიციალურ ენაზე მასობრივ უწესრიგობებს უწოდებენ, 38 წლის პოლიციელის, ორი შვილის მამის, ფილიპო რაკიტის სიკვდილი მოჰყვა. სერიოზულად არიან დაშავებულნი სხვანი. რბევა მასშტაბური იყო, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ კი სერია A-სა და სერია B-ს ტურები შეაჩერა. სისხლიანი ფეხბურთი არავის სჭირდება — ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა პანკალიმ ჩემპიონატის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიიღო. იტალიური სააგენტოების ცნობით, ჩემპიონატი, სავარაუდოდ, 17 თებერვალს განახლდება...

### კატანია 1:2 პალერმო

ვინაიდან ტრაგედია ფეხბურთის მატჩს მოჰყვა, თავდაპირველად, ორიოდ სიტყვით სწორედ მის შესახებ ვთქვათ. დავიწყოთ იმის ახსნით, თუ რატომ გაიმართა შეხვედრა პარასკევს. საქმე ის გახლავთ, რომ ორგანიზატორები ორი სიცილიური გუნდის ამ დაპირისპირებისგან კარგს იმთავითვე არაფერს ელოდნენ და მატჩის პარასკევს გადატანით ვითომ თავი დაიზღვიეს, იფიქრეს, სიცილიელები შაბათ-კვირას რომ ვათამაშოთ, უქმეებზე უსაქმურები რას მოაწყობენ, კაცმა არ იცისო, მაგრამ, როგორც გაირკვა, შეცდნენ. უსაქმურები იმის უსაქმურები არიან, რომ სამუშაო დღეებშიც მოაწყონ კოშმარი.

დავიდარაბა მეორე ტაიმში დაიწყო, როდესაც ტაიმის დასაწყისში სტადიონს „პალერმოს“ ქომაგთა ავტობუსი მიადგა. მანამდე პალერმოელები სტადიონზე თურმე არ იყვნენ, რადგან გზა არევიათ და კატანიაში გვიან ჩასულან...

თუმცა მანამდე ფეხბურთზე: როგორც ანგარიშიდან ხედავთ, გაიმარჯვა „პალერმომ“, თუმცა მისი ორივე გოლი საეჭვო გახლდათ.

მატჩი „კატანიას“ შტურმით დაიწყო. მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. ერთი საგოლე მომენტი სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ ეუჯენიო კორინიმ მეკარის უხეში შეცდომით ვერ ისარგებლა.

ამის მიუხედავად, ინიციატივა მაინც „კატანიამ“ შეინარჩუნა და ჩხვლეტები განაგრძო, თუმცა ანგარიში მეორე ტაიმში „პალერმომ“ გახსნა — მეტოქის საჯარიმოში მარკ ბრეშიანო შეიჭრა და ბურთი ანდრეა კარაჩოლოს დაუგორა, რომელმაც ის კარში შეაგდო, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს ოფსაიდიდან გააკეთა.

აი, სწორედ ამ დროს ისროლეს „პალერმოს“ ქომაგებმა მოედანზე პირველი მაშხალები და ისეთი ბოლი დააყენეს, თამაშის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ფეხბურთელები გასახდელებში შევიდნენ, კლუბების პრეზიდენტებმა ერთმანეთს ბრალი დასდეს და დაახლოებით ნახევარი საათი ასე, გადახურულში გაატარეს.

თამაში რომ გაგრძელდა, „კატანიამ“ ანგარიში ერთ წუთში გაათანაბრა: კაზერტას ჩაკიდებული ბურთი მეკარე ფონტანამ ვერ მოიგერია და მაღალ კუთხეში გაუშვა.

და ბოლოს, „პალერმომ“ მეორე გოლი თამაშის მიწურულს გაიტანა. საჯარიმო იყო, კორინის დარტყმული ბურთი „კატანიას“ მცველს მოხვდა, მისგან ასხლეტილი კი დი მიკელეს მიუვიდა... ხელზე.

მსაჯმა სტეფანო ფარინამ მიიჩნია, რომ დი მიკელეს ბურთი ხელზე შემთხვევით მოხვდა და გოლი ჩათვალა...

### მკვლელობა

38 წლის პოლიციის მთავარი ინსპექტორი ფილიპო რიკატი საოცრად უილბლო ადამიანი ყოფილა. მისი სიკვდილი ორმა მიზეზმა გამოიწვია — თვითნაკეთი ყუმბარის აფეთქებას მკერდში ქვის მოხვედრაც დაემატა. საავადმყოფოში ექიმებმა სიკვდილი დაადასტურეს და ეგ იყო...

ოფიციალური მონაცემებით, კიდევ 100 ადამიანია დაშავებული. 250 პოლიციელი მთელი ღამის განმავლობაში აკონტროლებდა „კატანიას“ სხვადასხვა ფან-კლუბის ოფისებსა და ქომაგთა შეკრების ადგილებს.






ფილიპო რაკიტის მკვლელობა დაგეგმილს ჰგავს

*„კატანიას“ დირექტორი პიეტრო ლო მონაკო:* „დღეს სამწლიანი შრომა ჩაგვეყარა წყალში. ის, რაც მოხდა, შემთხვევითს არ ჰგავდა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი თავდასხმა. მერედა, ყველაფრის კლუბებისთვის დაბრალებაც არ შეიძლება. როდესაც ვილაც წესრიგს არღვევს, ის უნდა ჩავსვათ და მისი საკნის გასაღები ცხრა მთას იქით გადავაგდოთ. ახლა, რაც მოხდება, ძალიან კარგად ვიცი. მრგვალ მაგიდებსა და სიმპოზიუმებში გავა დაახლოებით ათი დღე და ყველას დაგვავიწყდება საბრალო პოლიციელი რაკიტი, რადგან ბიზნესი ბიზნესია და ის უნდა გაგრძელდეს. სამწუხაროდ, ფეხბურთი არის სფერო, სადაც ბევრი სარკე და ბოლია, საქმე კი არასდროს კეთდება“.

სხვათა შორის, ბატონი ლო მონაკო გახლავთ ადამიანი, რომელმაც პირველმა გაახმაურა პოლიციელის მკვლელობის ამბავი, ჩვენ კი ესეც ვიცოდეთ: ვინ ვის როდის დაესხა თავს, გასარკვევია, ხოლო ის, რომ „კატანიას“ ფანები პირველად არ მონაწილეობენ რბევა-მტვრევაში, ფაქტია. სახელდობრ, მიმდინარე სეზონში კატანიელებმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია უკვე მოიხადეს (ანუ გუნდმა ორი თამაში უმაყურებლო ტრიბუნების წინ ჩაატარა). მიზეზი: პირველ წრეში კატანიელმა გულშემატკივრებმა ჯერ „მესინას“ ფანებთან იჩხუბეს, ერთი კვირის შემდეგ კი „პალერმოს“ ფანებთან.

*„კატანიას“ პრეზიდენტი ანტონიო პულვირენტი* კი ყველაფრის „პალერმოს“ ქომაგებს აბრალებს:

„რაც უნდა ლაპარაკი, რომ ინციდენტი „პალერმოს“ ქომაგების გამოწვეულია. პრობლემა მაშინ წარმოიშვა, როდესაც მათ სტადიონზე შემოღწევა მოინდომეს, მანამდე კი ყველაფერი მშვიდად მიდიოდა. არის უამრავი ვიდეო და ფოტო-ფაქტი, რომ მოედანზე მაშხალები მათ გადაყარეს. ვინც მოედანზე ჩავიდა, იოლად ნახავდა, თუ ვისი ტრიბუნის წინ ეყარა მაშხალის ნამწვავები და ათასგვარი „ნივთები“.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი გუნდის ქომაგებს შორის და მათი პოლიციელებთან ბრძოლის დინამიკა ზუსტად არავინ იცის, თუმცა მასპინძელი გუნდის პრეზიდენტი თავისას ამტკიცებს:

„ისინი კარგად იყვნენ ორგანიზებულნი და კატანიაში აშკარად იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ აქაურობა დაერბიათ. ამ ჩემპიონატში ჩვენ გაცილებით ნაკლები დანაშაულისთვის დაგვსაჯეს, ასე რომ, რაც პარასკევს მოხდა, ამის ისე დატოვებას არ ვაპირებთ. აქ დაზარალებული მხარე ჩვენ ვართ და აუცილებლად ვიჩივლებთ.“









### გვიდოლინი ომში

*ხოლო „პალერმოს“ მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი* ყველაფერს „კატანიას“ აბრალებს:

„მოედანზე ჩვენ გავიმარჯვეთ. უფრო ზუსტად, ჩვენ გავიმარჯვეთ ორივე შეხვედრაში, რამეთუ დღეს ორი შეხვედრა გაიმართა, შუაში 30-წუთიანი იძულებითი შესვენებით. ფეხბურთის თამაში ამაზე დიდხანს ველარ გაგრძელდებოდა, მაგრამ ერთ დღეს მოგებული ორი მატჩის მიუხედავად, სიხარულის ნატამალი არ გვწვევია. მე ნამდვილად არ ვიცი, ვინ დაიწყო ჩხუბი სტადიონზე, მაგრამ მე კარგად ვიცი, რა ხდებოდა ჩვენი კატანიაში ჩასვლის წუთიდან. აქ ორი დღე ვიყავით და სასტუმროსთან 50 პოლიციელზე ნაკლები ერთხელაც არ მდგარა. მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ საომარი მოქმედებების ზონაში ვცხოვრობდით. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი კლუბის ავტობუსს ესროდნენ კვერცხებს, ბოსტნეულს და ქვებს. 21-ე საუკუნეში ასეთი ველურობა იშვიათი მოსაძებნია“.

### რას ამბობენ?

როგორც კი კატანიელი პოლიციელის მკვლელობის ამბავი გახმაურდა, იტალიური ფეხბურთის შეფებმა ჩემპიონატი შეაჩერეს. დადის ჭორები, რომ როდესაც ნახევარკუნძულზე თამაშები აღდგება, ორი კვირის განმავლობაში (ან სულაც ჩემპიონატის ბოლომდე) მატჩებს მაყურებელს არ დაასწრებენ, თუმცა ამ მოსაზრებას უკვე ჰყავს გავლენიანი მოწინააღმდეგეები.

იტალიის „ლეგა კალჩოს“, ანუ *ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი ანტონიო მატარეზე*, რომელიც ადრე, ამდაგვარსავე ვითარებაში, როდესაც სერია A-ში თამაშები შეჩერდა, ფეხბურთის ფედერაციას პრეზიდენტობდა:

„ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა პანკალი სწორად მოიქცა, როდესაც დაუყოვნებლივ შეაჩერა ჩემპიონატი. 1995 წელს მეც ასე მოვიქეცი, როცა „ჯენოა“ — „მილანის“ თამაშის წინ ვინჩენცო სპანიოლო მოკლეს. მაგრამ, მეორე მხრივ, წყალს ბავშვი არ უნდა გავაყოლოთ. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა აჯობოს კრიმინალთა ჯგუფმა სახელმწიფოს. მე პატივს არ ვცემ იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ აქ ჩემპიონატს წერტილი უნდა დაესვას ან ამიერიდან უმაყურებლო სტადიონებზე უნდა ვითამაშოთ. ახლა მთავარია, ყველამ აიყვანოს თავი ხელში და პანიკა შეწყდეს. მინდა, ფედერაციის პრეზიდენტს შევახსენო: ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენ მაგივრად გადაწყვეტილებები სხვებმა მიიღონ“.

და კიდევ, მატარეზემ თითი ტელევიზიისკენ გაიშვირა. მან თქვა, რომ მსაჯთა შეცდომებზე გახშირებული კამათი სულელური შეცდომა იყო...

„უნდა ვაღიაროთ, რომ სულელური შეცდომები დავუშვით. მერედა, ჩვენი შეცდომებით ზოგიერთი კლუბის პრეზიდენტმა ცუდად ისარგებლა და ისეთი განცხადებები გააკეთა, რომელმაც ბრბო გააცხარა, თუმცა ამის გამო ყველაფერ კარგს ხაზი არ უნდა გადავუსვათ. სტადიონები არ უნდა დაცარიელდეს“.

### მოყვარულები

და იცით, რომ იტალიური ფეხბურთი მხოლოდ სერია A-სგან არ შედგება? მართალია, სინიორ მატარეზე კრიმინალთა ჯგუფის ჯინაზე ჩემპიონატის განახლებას ითხოვს და ალბათ მართალიც არის, მაგრამ ერთი კვირის წინ მატარეზეს ქვეყნის მოყვარულთა ლიგაში, ანუ სერია D-ში „სანმარტინეზესა“ და „კანჩელეზეს“ მატჩის დროს „სანმარტინეზეს“ დირექტორი ერმანო, ლიკურსი მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს ეჩხუბა და მოკლეს...

### პლატინი

*უეფას ახალარჩეულმა პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ* იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მხარი დაუჭირა...

„უპირველეს ყოვლისა, მთელი საფეხბურთო ოჯახის სახელით მინდა, მივუსამძიმრო დაღუპული პოლიციელის ოჯახს და განვაცხადო, რომ ნებისმიერი ჯურის ძალადობას ფეხბურთში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ ამას არ უნდა შევეგუოთ. სავსებით ვუჭერ მხარს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა პანკალის, რომელმაც დაუდგენელი ვადით შეაჩერა ჩემპიონატი. შეგახსენებთ, რომ შარშან საფრანგეთში „პარი სენ ჟერმენის“ გულშემატკივარი მოკლეს, შემდეგ ნანსიში „ფეიენოორდის“ ფანებმა მოაწყეს რბევა, ამ ყველაფერს კი, აგერ, კატანიის ამბავი დაემატა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, იტალიური ფეხბურთის შეფებთან და პოლიტიკოსებთან ერთად უნდა ვიმუშაოთ და შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ვიპოვოთ“ — განაცხადა პლატინიმ.



ლუკა პანკალო

AFP

### და ბოლოს

ზემოთ პოლიციელ ფილიპო რაკიტიზე, უილბლო ყოფილაო, ვთქვით, მაგრამ... ნება მოგვეცით, შეგახსენოთ, რომ ტრაგედია, რომელსაც ჩვენი ვრცელი წერილი ეძღვნება, სიცილიაზე დატრიალდა, სიცილიურ ამბებზე კი ბევრი ფილმი გვაქვს ნანახი.

მოკლედ, გამოძიებას გაუჩნდა ვერსია, რომ ის, რაც პარასკევს „სტადიო მასიმინოზე“ მოხდა, შეგნებული მკვლელობა იყო და ეს ეჭვი სამედიცინო კრიმინალისტურმა ექსპერტიზამ გაამძაფრა — სიკვდილის მიზეზი ფილტვის დაზიანება აღმოჩნდა. რა საკვირველია, ფილტვი ათასი მიზეზით შეიძლება დაზიანდეს, მაგრამ აკი მოგახსენებთ, რომ ახალი ვერსია უკვე არსებობს და მის თანახმად, მკვლელებმა საფეხბურთო მატჩი, უბრალოდ, მოიმიზეზეს, ასე ვთქვათ, თავიანთი განზრახვის აღსასრულებლად მოხერხებულად გამოიყენეს.

*კატანიელი პოლიციელი კლაუდიო ანძალონე:* „ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ფილიპო ერთ-ერთი ადგილობრივი ულტრა ქომაგის სასამართლოზე მთავარ მოწმედ გამოდიოდა. ამ ულტრას ბრალად „პალერმოსთან“ წინა შეხვედრისას არეულობის მოწყობა ედებოდა. ფილიპო ყველა ღონეს ხმარობდა, რათა თავზეხელაღებულს მორიგი საფეხბურთო მატჩის დროს იგივეს გამეორების საშუალება არ მისცემოდა. მოვლენათა განვითარების შესახებაც უშუალოდ ფილიპოსგან ვიცოდი. კერძოდ კი აი, რა მოხდა: ულტრამ, რომელსაც სასამართლომ სტადიონზე დასწრება აუკრძალა, დარბაზიდან გამოსვლისას რაკიტის ღიმილით უთხრა, რომ შურს იძიებდა. მაშინ ჩვენს მონაყოლსა და გაფრთხილებას ყური არავინ დაუგდო, ახლა კი ეს ყველაფერი სხვა მნიშვნელობას იძენს“.

საინტერესოა *კატანიის პოლიციის უფროსის იგნაცო ფონცოს* მოსაზრებაც:

„დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ „პალერმოს“ ფანები, რომელთა მანქანასაც ფილიპო რაკიტი აცილებდა, ჩხუბის სათავეში არ ყოფილან. ყველაფერი „კატანიის“ ვითომ გულშემატკივრებმა დაიწყეს და ძალიან ჰგავდა დაგეგმილს, თუმცა შეკვეთილ მკვლელობაზე საუბარი ჯერ მაინც ნაადრევია“.

არ ვიცით, რამეს ნიშნავს თუ არა, მაგრამ ფილიპო რაკიტი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საკანცელარიო ტიპის სამუშაოზე გახლდათ გადაყვანილი, სადაც თავი მოუსვენრად იგრძნო და დაახლოებით ერთი კვირის წინ ისევ საფეხბურთო მატჩების მომსახურების ჯგუფში დააბრუნეს.

**პაპუნა ძიძია**

# მახინჯი ხარ...
## ქალების რჩეული შრეკი



**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი უეინ რუნი ყველაზე მახინჯი სპორტსმენია მსოფლიოში — ასეთი შედეგებით დასრულდა ბრიტანული ONEPOLL-ის გამოკითხვა.

მდედრი ქომაგების 34 პროცენტმა ყველაზე შეუხედავად რუნი (მეტსახელად შრეკი) დაასახელა, რომელმაც დიდი სხვაობით „გაუსწრო“ მეორეადგილოსან პიტერ ბირდსლის, ვინც ადრე ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი იყო. მახინჯთა ხუთეულში ასევე მოხვდნენ რონალდინიო, პიტერ კრაუჩი და მოკრივე რიკი ჰატონი.

იმავე გამოცემის გამოკითხვით, მოლოდინისამებრ, ყველაზე მიმზიდველი სპორტსმენი დევიდ ბექემი გახდა. მის შემდეგ არიან ტიერი ანრი, დავიდ ჟინოლა, ფრედერიკ ლიუნგბერგი და ჩოგბურთელი ანდრე აგასი.

**ბახა ზალამბერიძე**

# მაურინიუ ხმებს და რეალს მზრძავის

**ბოლო** ხანს გავრცელებული ხმები, ქოზე მაურინიუ ამ სეზონის მერე „ჩელსის“ დატოვებს და რომელიმე გრანდს ჩაიბარებსო, პორტუგალიელმა კიდევ ერთხელ უარყო.

მოგეხსენებათ, ბრიტანული პრესის ცნობით, მაურინიუს ლონდონელთა მფლობელ რომან აბრამოვიჩთან დაეძაბა ურთიერთობა და ამის გამო მისი გუნდიდან წასვლა გადაწყვეტილიაო.

მაურინიუ ხან „ინტერს“ დაუკავშირეს, ხან „იუვენტუსს“, ხანაც „ბარსელონას“, ბოლო დროს კი ყველაზე ხშირად მადრიდის „რეალს“ ახსენებენ.

„ასეთი ჭორები კაპელოს და „რეალს“ შეურაცხყოფას აყენებს. მსგავს თამაშებში მონაწილეობას არ ვილებ, ხოლო თუ ვინმეს ამგვარი რალაცები მოსწონს, ეს მისი პრობლემაა. მე პატივს ვცემ „რეალს“ და კაპელოს და გარწმუნებთ, მადრიდულ კლუბში გადასვლაზე არავისთან მილაპარაკია. ეს სეზონი უფრო დაძაბული და საინტერესოა, ვიდრე წინა ორი იყო. ეს კი „ჩელსიში“ დარჩენისკენ მიბიძგებს“ — განაცხადა მაურინიუმ.

**ბოკა ბანდელაკი**

# კლინსი ოზია
